საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

შაბათი 5 ივნისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 124 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 124

მიხეილ ზესირიონის ძე ნადირაძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 ივანობისთვეს დილით, კვირას ფოთის საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მისი მამიდის

ნატალია ოქროპირის ასული მაჭარაშვილის

სულის მოსახსენებლათ. (1782 2—2)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეულლე მარუსია პაჭია შვილით მიშათი, დედა ეკა, ძმები: სიმონ და ალექსანდრე, დები: კატიუშა და დომნა, ბებია პელაგია, სიმამრი ელიშუხ ურუშაძე, ცოლის ძმები: კოწია, სანდრო და შალიკო, ცოლის დები; საშა, ნინა და ქსენია, რძალი ლიზიკო, სიძე ვალიკო ბარამიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

დათიკო ამბაკოს ძე მაღულარიას

ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 5 ივნისს. სოფ. ბუკნარში (გურია). (1794—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ლუბა ალექსის ასული, მამა გიორგი კონსტანტინეს ძე სიამაიშვილი, ბაბუა ალექსი ვასილის ძე ბარსოვი, მამიდა ანნა კონსტანტინეს ასული გალოგრე მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

კონსტანტინე (კოტიკო) გიორგის ძე სიამაიშვილის

პანაშვიდი სამხ. სკოლის ეკლესიაში დღეს, დილის 10 ს. და საღამოს 6 ს., დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება სამხ. სკოლის ეკლესიიდან კვირას, დილის 12 ს. (1796 1—1)

ხაშურის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეები გლოვობენ ძვირფასი მასწავლებლის

სიმონ ჯაფარიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 5 ივნისს, დ. საჩხერეში. (ნ. 1—1)

ხაშურის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების კორპორაციები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ხსენებული გიმნაზიების მასწავლებლის

სიმონ ალექსის ძე ჯაფარიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 5 ივნისს, დ. საჩხერეში. (ნ. 1—1)

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა იწვევს ექიმს და ფერშალს

პირობები შემდეგია:

1) ექიმმა უნდა შეიმუშავოს საზოგადოების მედიკურ ნაწილის მოწყობის გეგმა.

2) ექიმმა უნდა მიიღოს გამგეობის მიერ განსაზღვრულ საათებში საზოგადოების სახელოსნოების შენობაში სახელოსნოების, გარაჟის და [illegible] საამბულატორიო ავათმყოფი მუშები და მოსამსახურენი.

3) ექიმი ვალდებულია ინახულოს ავათმყოფები მათ ბინებზედაც ეტლის ხარჯს იხდის თვით ავათმყოფი.

4) ფერშალს ეძლევა ბინა თვით სახელოსნოებში, სადაც იგი მუდმივ უნდა იმყოფებოდეს.

5) ექიმს ეძლევა ჯამაგირი 5.000 მან.—ფერშალს—4.000 მან. თვეში.

მთხოვნელთ განცხადება უნდა შემოიტანონ შემდეგი მისამართით: რესპუბლიკის (პეტრე დიდის) ქუჩა № 8, არა უგვიანეს 12 ამა ივნისისა. (ნ. 2—1)

კავშირი საქართველოში მცხოვრებელ ჩინელ მოქალაქეთა

საქართველოს მთავრობის ნებართვითა და დახმარებით ჩინელთა ჯგუფის თაოსნობით თფილისში დაარსდა საქართველოში მცხოვრებ ჩინელთა კავშირი მათის მეტათ მძიმე მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. რადგანაც ჩინელთა უმრავლესობამ არც ენა და არც წერა-კითხვა იციან ზემოხსენებული კავშირი საყოველთაოთ სთხოვს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ყველამ ვისაც ამა თუ იმ ჩინელთან რაიმე დამოკიდებულება აქვს გამოგზავნონ კავშირის ბინაში დოკუმენტებისა და დახმარების მისაღებათ. კავშირის მისამართი: ვაკე სახელმწიფო უნივერსიტეტის გასწვრივ, სახლი ვარდანოვისა. 9—4 საათამდე. ყველა პირთა დაწესებულებათ სადაც ჩინელნი მსახურებენ, რომელთაც კავშირი უმორჩილესათ სთხოვს ზემოხსენებულ მიზნისათვის დროებით დაითხოვონ და ამით მისცენ მათ საშუალება მიიღონ დახმარება კავშირისაგან. რეგისტრაციის ვადა ამა წლის 15 თიბათვემდე გაგრძელდება. (1791—1—1)

განცხადება

მომარაგების სამინისტრო აცხადებს

რომ მოწმობა № 1638 მიმდინარე წლის 19 თებერვლის თარიღით მიცემული, რომელიც ანიჭებდა თამბაქოს ქარხანას „სლონს“ საქართველოს რესპუბლიკის პროვინციებში 2500 ფუთი თამბაქოს შეძენის უფლებას, უნდა ჩაითვალოს გაბათილებულად. (ნ. 1—1)

განცხადება

საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამმართველო ამით აცხადებს, რომ 15 ივნისს 1920 წ. დილის 12 საათზე იგი იწვევს კონკურენციას შემდეგ სამუშაოებზე:

1) ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვადასხვა მასალებით და სათბობი მასალით (ქვა-ნახშირი და შეშა).

2) სათბობ მასალის დარიგება საწყობიდან მოსამსახურეთა სახაზინო ბინებზე.

3) დატვირთვა ორთქლმავლების ქვანახშირით და აგრეთვე სხვადასხვა სამუშაოები სამასალო და სათბობ მასალის შემდეგ საწყობებში: ბათუმი, სამტრედია, ფოთი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, თფილისი, სანაინი და დროებითი საწყობი. ვადა სამუშაოებისა ამა 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე 1920 წ.

განცხადებები უნდა შემოტანილ ან გაგზავნილი იქნეს თითოეულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი მისამართით: ქალ. თფილისი, საქართველოს სახაზინო რკ. გზების სამმართველო, სამასალო სამსახურის უფროსს. დაწვრილებითი ცნობების მიღება ან გამოთხოვა ზემო აღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და აგრეთვე საწყობების ზედამხედველებისაგან ადგილობრივ. (ნ. 3—3)

კვირას 6 ივნისს დილის 11 საათზე, მუსულმანთა აუდიტორიის შენობაში (თათრის მოედანზე) დანიშნულია მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა

საზოგადო პარტიული კრება

დღის წესრიგი; 1) 9 მაისს პარტიულ კრებაზე არჩეულ საგამომძიებლო კომისიის მოხსენება 2) კოლექტივის მოხსენება და 3) მიმდინარე კითხვები.

მე-6 რაიონის კოლექტივი. (1—1)

„ეშმაკის მათრახი“

№ 28

გამოვიდა დღეს. ჟურნალში მოთავსებულია: ორი მზე, ორი არწივი და ჰაბუკი—თაგუნასი, პატარა ფელეტონი—სჯობს სახელისა მოხვეჭა—მორიელისა, ლექსები შექანჯალებულის და სხვა. **კარიკატურები:** 1. თავისუფალი ადერბეიჯანი, 2. კორესპონდენტი, 3. უხვად დასწერდი... 4. სტამბოლისაკენ, 5. ფოთის მილიცია, 6. ყირიმის ბედაური, 7. ვაგონ-რესტორანში, 8. სახელმწიფო თეატრი, 9. ბაქოს ოინები.

დაიწყო მუშაობა

ახლად გახსნილმა პირველმა კავკასიაში და საქართ. რესპუბ. ქალაქთა კავშირის

— ნამდვილი გრეხილი —

ვენის ავეჯეულობის ქარხანამ

მიიღება შეკვეთა სკამების, კრაოტების, ავტომობილის „დუგების“ და სხვა. შესაკვეთათ და ცნობების მისაღებათ მიმართეთ ქარხნის კანტორაში, ანტონიევის ქუჩა № 1, ჩერქეზოვის კუთხე. (ნ. 10—10)

მასწავლებელთა საყურადღებოთ

მიწათ-მოქმედების სამინისტო იწვევს ზაფხულის განმავლობაში მსურველთ

აგრარულ რეფორმის გატარებაზე სამუშაოთ.

მსურველები მიიღებიან სარაიონო მდივნებისა, ინსტრუქტორებისა და კანტროლიორის თანამდებობაზე. ჯამაგირები არა ნაკლები ოთხი ათასი მანეთისა. გარდა ამისა, მასწავლებლებს შეენახებათ თავიანთი ჯამაგირებიც. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში. აქვე უნდა გამოიგზავნოს წერილობითი განცხადებებიც და თხოვნებიც 15 ივნისამდე. (ნ. 4—2)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციებს!

ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო პარტიული ყრილობის მოწვევა ერთი კვირით გადასდოს. ყრილობა გაიხსნება 13 ივნისს, კვირას 12 საათზე.

ვაცნობებთ რა ამ დადგენილებას პარტიულ ორგანიზაციებს, ვთხოვთ მიიღონ შესაფერი ზომები, რომ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ მათ მიერ არჩეული დელეგატები ცენტრალური კომიტეტის ბინაზე.

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშ. პარტიისა.

პარტიული თათბირის დადგენილებით, რომელიც მოხდა 25—26 მარტს და დაადასტურა ცენტრალურმა კომიტეტმა, ყრილობისთვის მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი:

მოხსენებანი:

1. ცენტრალური კომიტეტისა.
2. საკანტროლო კომისიისა.
3. მთავრობის წევრებისა.
4. ფრაქციის.
5. მიმდინარე მომენტი.
6. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
7. ფინან.-ეკონომიური პოლიტიკა.
8. პროფესიონალური მოძრაობა.
9. კოოპერატიული პოლიტიკა.
10. მუნიციპალური პოლიტიკა.
11. აგრარული პოლიტიკა.
12. ჯარი და სახალხო გვარდია.
13. პარტიული მუშაობა.
14. პარტიული გამომცემლობა.
15. დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიებთან.
16. ინტერნაციონალი.
17. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკანტროლო კომისიისა.

პარტიული წესდების 11 §-ის თანახმათ ადგილობრივი ორგანიზაციები ყრილობაზე გზავნიან დელეგატებს თითოს ყოველ 400 წევრზე. იმ ორგანიზაციებს, რომელნიც მაზრას და დიდ ქალაქებს ხელმძღვანელობენ და რომელთაც სათავეში კომიტეტი უდგია, უფლება ეძლევა ყრილობაზე ერთი დელეგატის გაგზავნის იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტიის წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლები ითვლება.

დელეგატთა არჩევის წესს თვით ადგილობრივი ორგანიზაცია იმუშავებს.

პოლონეთის შემოსევა რუსეთში

კომუნისტების ბატონობამ, მათმა პოლიტიკამ მედგრათ ხელი შეუწყო რუსეთის ეკონომიური კეთილდღეობის დანგრევას და სახელმწიფოს მიყვანას უფსკრულის პირამდის. მიუხედავათ ამ პოლიტიკის დამღუპველობისა. უკვე 2 ნახ. წელიწადია, რაც ბოლშევიკები რუსეთის სათავეში დგანან და დღესაც არა სჩანს არავითარი მისი მეტოქე ძალა, რომელსაც ძალუძს კომუნისტების ალაგის დაჭერა და რუსეთის მესვეურობის გაწევა. რით აიხსნება ეს აშკარა უკულმართობა?

დღიდან ბოლშევიკურ გადატრიალებისა რუსეთი განუწყვეტლივ ომს აწარმოებს. იმ სამოქალაქო ომში, რომელიც ორი წლის განმავლობაში მძვინვარებდა რუსეთში, ბოლშევიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა ალექსეევ-დენიკინ-კოლჩაკ-იუდენიჩის დროშის ქვეშ შეკავშირებული კონტრ-რევოლიუცია, რომლის გამარჯვება უეჭველად მოასწავებდა ძველი წესების აღდგენას და რევოლიუციის მონაპოვართა სრულს განადგურებას. ბოლშევიკური ცენტრი ერთათ-ერთი ძალა იყო, რომლის გარშემოც უნდა შეკრებილიყვნენ რუსეთის ყველა ის წრეები, რომლებსაც რევოლიუციამ შესძინა რამე და რომლებსაც საფრთხეს უმზადებდა რევოლიუციის დამარცხება და ძველი წესების აღდგენა. ბოლშევიზმის პოპულიარობას კიდევ უფრო ზრდიდა ის საბედისწერო, უგუნური პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც გადადგა შეკავშირებულმა კონტრ-რევოლიუციამ მასთან საბრძოლველად: ეს იყო უცხო სახელმწიფოთა ჯარების შემოყვანა რუსეთში. ამ გარემოებამ ბოლშევიზმი ჩააყენა ეროვნულ თავისუფლების დამცველის როლში და მთელი რუსეთის ეროვნულ მებაირახტრეთ გადააქცია.

დღეს ამავე მიუტევებელ პოლიტიკურ შეცდომას იმეორებს პოლონეთი. ჩვენ ბევრჯერ გვიკიცხიბია საბჭოთა რუსეთის მთავრობისათვის მისი იმპერიალისტური მისწრაფებები. ეს იმპერიალიზმი მან აშკარად დაამტკიცა თავის „სააღმოსავლეთო პოლიტიკით“. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვიაროთ, რომ პოლონეთის მიმართ საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა არაჩვეულებრივი დათმობა როგორც პოლიტიკურის, ისე ტერიტორიული მხრით. პოლონეთს არავითარი საბუთი არ ჰქონდა არ დათანხმებულიყო იმ მეტათ ხელსაყრელ საზავო პირობებზე, რომლებზედაც საბჭოთა რუსეთს უნდოდა მასთან შეთანხმება. მიუხედავათ ამისა, პოლონეთმა გამოაშკარავა თავისი ნამდვილი იმპერიალისტური სულისკვეთება, ნამდვილი პოლიტიკური მაქსიმალიზმი, შემოიჭრა იმ მხარეებში, რომლებიც არც ეთნოგრაფიულად, არც ისტორიულად, არც სტრატეგიულად და არც სხვა რამ მოსაზრებით არ შეადგენ პოლონეთის ნაწილს. ამ შემოჭრით პოლონეთმა კი არ დაასუსტა კომუნისტური მთავრობა, არამედ უეჭველად გაამაგრა ისევე, როგორც ამ ერთი წლის წინათ გაამაგრა იგი დენიკინის მიახლოვებამ მოსკოვთან და იუდენიჩის მიახლოვებამ პეტროგრადთან და კოლჩაკის იერიშმა ვოლგაზე.

პოლონეთის შემოსევამ და იმ იმპერიალისტურმა ზრახვამ, რომელსაც იგი იჩენს რუსეთის მიმართ, კიდევ ერთხელ ჩააყენა კომუნისტური მთავრობა სამშობლოს მხსნელის როლში; თავის მტაცებლური განზრახვებით პოლონეთის მესვეურებმა კიდევ ერთხელ მოუპოვეს პოპულიარობა ბოლშევიზმს, კიდევ ერთხელ გადააქციეს იგი **ეროვნულ** პარტიათ, რომლის გარშემო ჯგუფდებიან სამშობლოს დაცვის მიზნით ყველა კლასები, აქამდის ბოლშევიზმისადმი მტრულად განწყობილი პარტიები და ჯგუფები. რუსეთის სოციალ-დემოკრატ. პარტია ამხ. მარტოვის პირით აცხადებს, რომ იგი „ყოველს ზომებს მიიღებს, რომ მშრომელთა მასსამ თავის საკუთარ საქმეთ მიიჩნიოს რაც შეიძლება სწრაფი და რაც შეიძლება ბრწყინვალე გამარჯვება დასავლეთის ფრონტზე.“ ამასვე აცხადებენ რუსეთის სოც.-რევოლიუციონერები. საბჭოთა რუსეთის მიერ დამარცხებული დენიკინის ჯარის ნაწილები ხალისით მიდიან პოლონეთის ფრონტზე. ნიკოლოზის გენერლები ყოველს დახმარებას უწევენ საბჭოთა მთავრობას თავის სამხედრო ცოდნით და გამოცდილებით. პოლონეთის საფრთხემ მთელი ერი შეაჯგუფა საბჭოთა მთავრობის გარშემო და დროებით დაავიწყა მისდამი სიძულვილი. და სიმართლეს მოკლებული არ არის ის სიტყვები, რომლითაც მიმართა „კომუნისტურმა ინტერნაციონალმა“ ყველა ქვეყნების მუშებს: „პოლონეთის ლეგიონებს თავს დაატყდება მთელი რუსეთის მუშათა და გლეხთა რისხვა, რისხვა თვით უპარტიო მასსისა, რომელმაც **ახლა მაინც საბჭოთა მთავრობაში ქვეყნის დამოუკიდებლობის დამცველი დაინახა**“.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ბოლშევიზმი რუსეთში დღემოკლე გამოდგებოდა, რომ იგი ორი წლის განმავლობაში არ გაემაგრებინა რუსეთის რეაქციას და რომ მას დღეს არ ამაგრებდეს უცხო სახელმწიფოთა იმპერიალიზმი.

თანამედროვე კითხვები

XIII.

რევოლიუციონური თანდათანობა.

რუსეთის მენშევიკები, აგერ ორ წელიწადზე მეტია, არა ლეგალურ პირობებში იმყოფებიან. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ აქვს იქ ღია ასპარეზზე მუშაობის ნება. ბოლშევიკურმა მთავრობამ კარგათ იცის, რომ ეს პარტია მხარს არ უჭერს შეიარაღებულ ბრძოლას „საბჭოთა“ მთავრობის წინააღმდეგ. პირ-იქით, მისი ცენტრალური კომიტეტი და მთავარი ორგანიზაციები ამბობდენ, რომ უთანხმოების მიუხედავათ, მხარი უნდა დავუჭიროთ მმართველ პარტიას [illegible] და ვერც ახლა ითმენს ოპოზიციას. რკინის იარაღით გამარჯვებული გაურბის სიტყვით და აზრებით გაჭედილ იარაღს.

საქართველოს ბოლშევიკებიც აქამდის იატაკ ქვეშ ისხდენ. აქ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა არ აძლევდა მათ ლეგალურათ არსებობის ნებას, რადგან ისინი შეიარაღებული ხელით ფიქრობდენ ბრძოლას და არა პრინციპიალური აზროვნობით.

ახლა, როგორც სჩანს, შეუცვლიათ ტაქტიკა. რუსეთთან ზავის შემდეგ მშვიდობიან ნიადაგზე აპირებენ მუშაობას. ამის საშუალება ეძლევათ საქართველოში. ეძლევათ აქაურ ბოლშევიკებს ის, რაც რუსეთში არ აქვთ მენშევიკებს.

ჩვენ მთავრობას არ ეშინია მოწინააღმდეგე აზროვნობის, აზროვნული ოპოზიციის. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ აზრთა სხვადასხვაობა უკეთესი საშუალებაა კლასობრივი თვით-შეგნების, ამა თუ იმ მსოფლ-მხედველობის გამტკიცების.

ცალმხრივობამ დაასუსტა და დაამჭლევა აზროვნობა „საბჭოთა“ რუსეთში გადაავლეთ თვალი ბოლშევიკურ პრესას, სხვათა შორის „Правда“-ს, „Извѣстія“-ს, და ადვილათ დაინახავთ, რომ რუსეთის მმართველ პარტიას არ აქვს იდეოლოგია, მეცნიერული თვალით ვერ არჩევს თანამედროვე მომენტს. აქვს მარტო ერთხელვე დაზეპირებული სიტყვები:—სოციალისტური რევოლიუცია ნაპერწკლებს ისვრის ევროპაში, და იქ საცაა ცეცხლი აინთებაო. ამ სიტყვებს ასხვაფერებენ ყოველ-დღე, ამას იმეორებს აქ გამოსული „კომუნისტიც“.

საქართველო ახლა ერთათ-ერთი კუთხეა, სადაც სოციალისტური გათვითცნობიერება უნდა მოეწყოს აზრების გაცვლა-გამოცვლით და არა ტყვიის და ხიშტების საშუალებით.

აქაური ბოლშევიკები თავისი გაზეთის პირველ ნომერშივე გამოდიან, ასე ვთქვათ, მსოფლიო ასპარეზზე, ყოველ ადგილობრივ მოვლენას უკავშირებენ მთელი ქვეყნის მდგომარეობას. ეს სწორი გზაა. მაგრამ აქედან აუცილებელია ის დასკვნა, რომელიც სრულიად ვერ გაამართლებს რუსეთის ბოლშევიკების საქმიანობას. სოციალიზმის შენება არ მოხერხდება, თუ საერთაშორისო მდგომარეობა ამას ხელს არ უწყობს. სოციალისტური რევოლიუცია ვერავერს გახდება ერთ ქვეყანაში, თუ სხვაგან მისი ნიშანიც არ სჩანს.

აქამდის „ხედავდენ“ ხოლმე ამისთანა ნიშნებს, უნდოდათ, რომ ცაენახათ. მათი აზრი არ იყო სინამდვილეზე აშენებული, სინამდვილე იყო მათ აზრზე დამოკიდებული. ამ გზით ერკვეოდენ ისინი თანამედროვე პირობებში. ეს „რკვევა“, როგორც ვიცით, არ გამოდგა ნაყოფიერი. ბოლშევიკების მუშაობა აზროვნობის ნიადაგზე ისეთივე უნაყოფოა, როგორც მათი შრომის რაზმი ეკონომიურ ასპარეზზე.

იქნება საქართველოში შეიქნეს ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა. ეს დამოკიდებული იქნება, სხვათაშორის, მოწინააღმდეგების იდეოლოგიურ პატიოსნებაზე და სინდისიერებაზე.

თავი და თავი პირობა: არ უნდა დამახინჯდეს არც ერთი ფაქტი, სინამდვილეს არ უნდა გადავუხვიოთ არც აქეთ, არც იქით.

დღევანდელი სინამდვილე გამოიხატება ორი სიტყვით. ქვეყნიერება გალატაკებულია. „სოციალისტური“ ვარჯიშობა ამისთანა პირობებში შექმნის მეტ გალატაკებას. ფაქტიურათ ის იქნება გამანადგურებელი ომის გაგრძელება.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ომისგან გამოწვეულ პირობებს, როცა ჩვენ ვაპირებთ ახალი ცხოვრების შექმნას. ვენის სოციალდემოკრატიულ გაზეთს „Arbeiter Zeitung“-ს მოჰყავს საგულისხმო ციფრები. ციფრებიდან სჩანს, რამდენათ შემცირებულა მსოფლიო წარმოება ყველა დარგებში:

ნახშირის . . 2 ნახ. მილ. ტონით
პურის . . . 3000 ათასი „
რკინის . . 140 „ „
მატყლის . . 6200 „

1913 წელთან შედარებით საფრანგეთში და ინგლისში 1919 წელს ნახშირის წარმოება შემცირებულა 32 პროცენტით, გერმანიაში—38 პროც., ბელგიაში—22 პროც. შრომის ნაყოფიერებას მოუკლია ყველგან ერთი მესამედით.

წარმოება ველარ ასწრებს ხმარებას. საქონლის მოთხოვნილება უფრო დიდია, ვიდრე საქონლის დამზადება. ხარჯი მეტია, ვიდრე კეთება. წარმოების დაცემა ევროპაში იწვევს ფულის გაიაფებას. შეუძლებელი ხდება საქონლის ყიდვა. ამერიკა მდიდარია საქონლით, მაგრამ ის ევროპაში ამ სიმდიდრეს ვერ ასაღებს. საქონელი იქ მოუხმარებლათ გროვდება საწყობებში. საშინელი წინააღმდეგობაა კაპიტალისტური წესწყობილების. ევროპაში კრიზისია, რადგან იქ საქონელი ნაკლებათ არის. ამერიკა განიცდის კრიზისს, რადგან იქ საქონელი ზედმეტათ არის. ფაბრიკა-ქარხნებს აჩერებენ, იქ ვერ [illegible] ნაწარმოები გაუსაღებელი რჩება.

ეს წინააღმდეგობა არ მოისპობა, თუ ევროპაშიაც წარმოება არ გამოცოცხლდა. არ გამოცოცხლდება, თუ დღესვე დასავლეთის მშრომელმა ხალხმა სოციალისტური რევოლიუციის დროშა ამართა და სამოქალაქო ომი გამოაცხადა. ევროპა მაშინ უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, რუსეთს დაემგვანება. წარმოების გასაცოცხლებლათ საჭიროა, რაც შეიძლება, მეტი შრომა და, რაც შეიძლება, ნაკლები უმუშევრობა.

მაგრამ მუშათა კლასი ვერ იმუშავებს ძველ პირობებში. შრომის ნაყოფიერება დიდი ვერ იქნება იქ, სადაც დარწმუნებული არიან, რომ მთელი ნაშრომი ხელში ჩაუვარდება კერძო მესაკუთრეებს. ძველი კაპიტალისტური დამოკიდებულება ერთი ნაბიჯითაც ველარ წასწევს წინ მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობას. კაპიტალიზმის წინანდელი ბატონობა, მისი პოლიტიკური დიქტატურა მიუღებელია ახლანდელი დროისთვის.

მიუღებელია დღეს-დღეობით სოციალისტური დიქტატურაც. მუშათა კლასი ვერც ერთ ქვეყანაში ვერ დაეპატრონება ჯერ საწარმოო ძალებს ისე, რომ არ გადაიმტეროს მთელი საზოგადოება. რუსეთის ბოლშევიკებმა კარგათ იციან, რას ნიშნავს მტრულ ატმოსფერაში მუშაობა. სოციალისტური რევოლიუცია ხომ ის არ არის, რომ ბურჟუაზიას კუდით ქვა ვასროლინოთ და სხვა არაფერი. ამ რევოლიუციამ უნდა მოგვცეს ისეთი იარაღი, რომელიც გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას და გამოგვიყვანს ეკონომიური გაჭირვებისაგან. რევოლიუცია ახლანდელ პირობებში რეაქციათ გადაიქცევა, თუ ამ საქმეს ვერ გააკეთებს.

შეიძლება დრომ მოითხოვოს, და ევროპის ქვეყნებში ძალა-უფლება მუშათა პარტიებ აიღონ. მაშინ თუ ამათ რუსული შეცდომა გაიმეორეს და მარტო თავისი კლასისთვის იზრუნეს, წარმოებას უარესათ გაანადგურებენ, გაჭირვებას კიდევ უფრო გაართულებენ. ამათ უნდა დაისახონ მაშინ ერთი მიზანი: უნდა გააფართოვონ საწარმოო ძალები და ხელი შეუწყონ საზოგადო სიმდიდრის შექმნას. მმართველი პარტია ვერ მოერიდება სხვა კლასებთან და პარტიებთან შეთანხმებას, თუ ეს საჭირო იქნება იმ ერთი ეკონომიური მიზნისთვის.

აწინდელი რევოლიუცია მაშინ შეასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას, როცა შეუდგება ომისაგან დანგრეულის გამოსწორებას. აქ უთუოდ გამოდგება ბურჟუაზიული დროის მემკვიდრეობაც. ბოლშევიკურმა მთავრობამ გაურჩევლათ გადააგდო ეს მემკვიდრეობა და ახლა ისევე ეპოტინება, იქნება იქ მოვნახო რამ ისეთი, რაც დღევანდელი უბედურებისაგან გამოსაყვან გზას მიჩვენებსო.

ახლანდელ ისტორიულ ხანაში ომისა-

დღეს

ბალშევიკების ცნობით პოლონეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარებმა ზოგიერთ რაიონებში უკან დაიხიეს.

ამერიკის სენატმა სომხეთის მანდატი უარყო.

გენერალური შტაბის ცნობა.

4 ივნისი.

ხულო-დანისპარეულის რაიონში ბანდებთან კერძო ხასიათის შეტაკებანი გრძელდება.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

გან დატოვებულ პირობებში შეიძლება მხოლოდ მხადება სოციალიზმისთვის, და არა სინემატოგრაფიულათ ნაჩქარები სოციალიზმი. თანდათანობას უფრო რევოლიუციონური მნიშვნელობა ექნება ახლა, ვიდრე „რევოლიუციონურ" რახარუხს.

ს. დევდარიანი.

პრესა

ფიცი არ გვწამს, ბოლო არ გვაკვირვებს.

„კომუნისტი" გვარწმუნებს, რომ ის მომხრეა საქართველოს დამოუკიდებლობის. ამ ფაქტით გაზეთი ხედავს ბალშევიკური პრინციპების გამარჯვებას.

მაგრამ მეორე ნომერში გადაუბეჭდიათ თფილისის მუშათა საბჭოს მოწოდება „საბჭოთა" რუსეთის წითელი რაზმისადმი. მოწოდება უხსნიდა ამ რაზმელებს, რომ არა აქვთ-რა სადაო და საომარი დემოკრატიულ საქართველოსთან.

„კომუნისტების" რედაქცია აცხადებს თავის შენიშვნაში, რომ

„ამ მოწოდების შესახებ ის არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს".

რათ დასჭირდა რედაქციას ეს შენიშვნა? ვინ სთხოვდა პასუხისმგებლობას შენიშვნის დამწერებს?

ჩვენთვის ცხადია, რომ აქ არის უხეიროთ ნილაბ ჩამოფარებული პოლიტიკური გამოსვლა. რედაქცია წინააღმდეგია ალბათ იმ ომის, რომლითაც ჩვენი ჯარი იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას. ყოველ შემთხვევაში მხარს უჭერს თავისი შენიშვნით თავდამსხმელ წითელ აძერბეიჯანს.

ამის შემდეგ ჩვენ ნება გვაქვს შევეკითხოთ ადგილობრივ ბალშევიკებს, მართლა იცვლიან ისინი ტაქტიკას, მართლა გადადიან მარტო იდეიური ბრძოლის ნიადაგზე, თუ ისევ ძველი გზებისკენ აქვთ პირი მიბრუნებული?

პოლიტიკაში ჩვენ გვწამს მხოლოდ პირდაპირობა და ნილაბ ჩამოუფარებლობა.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

რაშია საქმე? ამხანაგი მუშები შეშფოთდნენ იმ გარემოებით, რომ ეწყობა თათბირი, რომლის თავჯდომარეთაც ინიშნება ყოფილი მეფის გენერალი ბრუსილოვი, თათბირის მონაწილეთ კი, ძველი მეფის გენერლები.

ამხანაგი მუშები გაკვირვებული არიან [illegible] ჩვენ ორი წელიწადია ბრძოლას ვეწევით საშინელ მტერთან, იგი ორი წლის განმავლობაში ყველგან დავამარცხეთ უთათბიროთაც. რაღათ დაგვჭირდა თათბირის მოწყობა, როდესაც ბრძოლა გვიხდება პოლონეთის შლიახტებთან. იქნება ეს იყოს კაპიტულიაცია, შეთანხმება ძველი ქვეყნის წარმომადგენლებთანო.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ისეთი ერთგული თანამშრომლები, როგორც არიან „აგიტრისტაში", რომლებიც ცდილობენ რა ყველა ნაბიჯი მთავრობისა გაამართლონ, ამ გენერლებს საუკეთესო ხალხათ ნათლავენ და ადვილი ასახსნელია ის გაკვირვება და აღშფოთება, რომელიც გაისმის მუშებში. მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ პოლონეთის ფრონტმა გააერთიანა ყველა მცხოვრებნი და თვით მეფის გენერლებმა თავიანთი ინიციატივით წინადადებით, მიმართეს საბჭოთა მთავრობას და სთხოვეს, მოიხმარეთ ჩვენი ცოდნა და სამხედრო გამოცდილებაო. აქ, ზურგში, ეს თათბირი შეიმუშავებს იმ კითხვებს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ძალთა ორგანიზაცია ბრძოლისათვის. როდესაც მთელი ძალა-უფლება მშრომელთა ხელშია, უნდა გამოვიყენოთ ის ძალები, რომლებიც თვით მოითხოვენ მუშაობას. ის, რაც ჩვენ ძალას შეგვმატებს, ის, რაც წყალს ასხამს ჩვენს პროლეტარულ წისქვილს, გამოყენებულ უნდა იქნას.

ჩვენ არ შეგვიძლია უვარვყოთ მთლიანი ფრონტი და არ მოვახდინოთ მისი დემონსტრაცია. რამდენათაც ადრე მივაღწევთ გამარჯვებას, იმდენათ ნაკლები სისხლი დაიღვრება მუშათა კლასისა და მით უფრო მიუახლოვდებით საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას. როდესაც საქმე შეეხება პროლეტარიატის ინტერესებს, მაშინ ეშმაკსაც და თვით მის ბებიასაც უნდა შევუთანხმდე, როგორც, დაახლოვებით ასე თქვა ოდესღაც ბებელმა.

ჩვენ არ შევასრულებდით ჩვენს ვალს, თუ არ გამოვიყენებდით ამ მეფის გენერლებსაც. ვდგევართ რა ჩვენს პოზიციაზე, თუ კი ძველი გენერლები იძულებული ხდებიან მოგვმართონ თხოვნით, მოვიხმარეთო, ჩვენ ისინი უნდა მოვიხმაროთ, რომლებიც შეიძლება მოქმედობდენ ძველ ჩანერგილ ნაციონალურ-პარტიულ გრძნობებით, ეს უკეთესია მსოფლიო პროლეტარულ საქმისათვის, იმ საქმისათვის, რომელსაც ჩვენ ვიცავთ და უარესი მსოფლიოს თეთრ გვარდიისათვის, რომლის ავანგარდათ არის ამ ჟამად თეთრი პოლონეთი. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ჩვენ მიერ მიღებულია ზომები. ჩვენ გენერლებისგან მივიღებთ იმას, რის მოცემაც მათ შეუძლია გამარჯვებისათვის. ამ გამარჯვების საქმე კი მამაცი წითელი არმიის, გმირი პროლეტარიატის ხელშია. („პრავდა" № 98).

არ უნდა დავიქსაქსოთ! ამ სათაურით ი. იურენენი „იზვესტიას" მე 98 ნომერში შემდეგს სწერს: „პრავდას" მე-90 №-ში ამხ. პრეობრაჟენსკიმ აღძრა საკითხი „გლეხთა კვირეების" მოწყობის შესახებ. უნდა აღიარებულ იქნეს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის ცდას, გამოიდეს საზოგადო არევ-დარევის ჩიხიდან, ციებ-ცხელებითი ხასიათი აქვს. ჩვენ ვქსაქსავთ ჩვენს მუშაობას, ჩვენს გეგმებს ყოველგვარ „კვირეების" ნაწილაკებათ. ჩვენ არ უარვყოფთ ამის საჭიროებას; მაგრამ ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ „კვირეები" თანდათან სუსტდებიან, ჰკარგავენ თავიანთ „სიმაგრეს" და იძლევიან ნაკლებ სარგებლიანობას. მთავარი უბედურება პერმანენტულ „კვირეებისა" იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შლიან პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ნორმალურ ცხოვრებას. სარგებლიანობა კი ხშირათ ვერ ჰფარავს „კვირეებით" მოწყობით და მათ გატარებით გამოწვეულ ხარჯებს. „კვირეები" იგივე „ტრიშკას ხალათის" დაკერებაა. იმის მაგივრათ, რომ მაგრათ ჩავჭიდოთ ხელები საბჭოთა რესპუბლიკის მტერს,— საერთო არევ-დარევას,— ჩვენ თითებს ვაფათურებთ სხვადასხვა მხარეებიდან. აი რატომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ უფრო თავდაჭერილათ უნდა მოვექცეთ „კვირეებს". კერძოთ, ამხ. პრეობრაჟენსკის „გლეხთა კვირის" მოწყობის შესახებ პროექტის გამო უნდა განვაცხადო, რომ ეს პროექტი, ჩემის აზრით სავსებით უტოპიურია. დავიწყოთ თუ გინდ იქიდან, რომ „პურისათვის საფასურათ მუშათა ძალები უნდა გაიღოთ, რაც ზაფხულზე სოფლებში გასაგზავნათ გამოგვადგებოდა". სოფელს მუშათა ხელი კი არ აკლია, არამედ—ის, რომ გაცვეთილია ინვენტარი, არ არის ლურსმანი, მარილი, ნავთი და სხ. და სხვ.; ე. ი. აკლია ის, რის მიცემაც დღეს ჩვენ არ შეგვიძლია: „ზეინკალთა, მჭედელთა და მექანიკოსთა ბრიგადები", რომლებიც ამხ. პრეობრაჟენსკის აზრით სოფელში უნდა გაიგზავნონ,—ამათი გაგზავნა არა თუ არ შეიძლება, ეს საზარალოც იქნება დღევანდელ პირობებში, ვინაიდან ასეთები ყველაზე უფრო დღეს საქალაქო წარმოებაში გვესაჭიროება, სადაც მათი გამოყენება დღეს აქ უფრო სრულათ შეიძლება. არ არის აგრეთვე პრაქტიკული მოსაზრება საბჭოთა დაწესებულებების ძალთა გამოყენების შესახებ. ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა მოყვება სოფელში საბჭოთა დაწესებულებებიდან სოფლის ცხოვ[illegible] გაზავნით. სრულიად მიუღებელია წინადადება—„მოხდენილ იქნეს განსაკუთრებული მობილიზაცია მშრომელების, სპეკულიანტების, კერძო ხელოსნების და კუსტარების, მეეტლეთა და სხვ. და გაიგზავნონ ისინი სამუშაოზე". აქ იქნებოდა არა „გლეხთა კვირა", არამედ—„კონტრრევოლიუციის" მშვენიერი „კვირა"! მე ვფიქრობ, რომ უარყოფილი უნდა იქნეს ამხ. პრეობრაჟენსკის პროექტი და რომ ისედაც სუსტი ძალები კიდევ უფრო არ დავქსაქსოთ,—საჭირო იქნება ენერგიის მიმართვა მთავარ წერტილისაკენ,—ტრანსპორტის აღდგენისაკენ, წარმოების მოწყობისაკენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეუძლებელია მაგრათ ყოფნა ყველა ფრონტებზე. მთავარ ფრონტზე მიღწეული გამარჯვება კი აუცილებლათ გამარჯვებას გამოიწვევს დანარჩენ ფრონტებზედაც".

მბეჭდავნო ნუ ჩამორჩებით! „შრომის კვირა" გრძელდება. ჯგუფებათ ყველა მხრიდან რკინის გზებზე მოდიან მუშები, რათა სამი საათის მუშაობით მოაგვარონ ტრანსპორტის საკითხი. ასე იქცევიან შეგნებული მუშები. მათ შეიგნეს, რომ გამოსავალი გზა ამ მდგომარეობიდან,—ეს არის ერთად ერთი—შრომა. ყველაზე შეუგნებელი მუშებიც კი შეიქმნენ ამ რევოლიუციის ხანაში შეგნებულნი. მხოლოდ ვერ გამოსწორდენ მბეჭდავები. ისევ ისეთივე „ობივატელობა" მეფობს მათში. არა არის შეგნება რევოლიუციონურ მიზნების. „შრომის კვირის" ფრონტზე ნაკლებათ შეხვდებით მომუშავე მბეჭდავებს. გარდა ამისა, მათ შორის შემდეგ სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი. ავიღოთ მაგალითად ყაზანის რკინის გზის სტამბა, რომლის მუშებიც მენშევიკებს ემხრობიან. სამი მაისის კრებაზე დაადგინეს არ იმუშაონ და ჰგონიათ ამით დაამტკიცეს თავიანთი რევოლიუციონური შეგნება. მენშევიკებისათვის შეიძლება ეს იყოს რევოლიუციონური საქმე, მაგრამ მთელ მუშათა კლასისათვის კი, ეს ნიშნავს შტრეიკბრეხერობას. მეტალისტები, მეწაღეები, მქსოველები ამ კვირაა მუშაობენ ყველა მუშებისათვის და თვით მბეჭდავებისთვისაც და რატომ მბეჭდავები უგულოთ მუშაობენ მეწაღეებისთვის, მეზოვეზისათვის, მეტალისტებისათვის თუ კი მათ სწამთ სოლიდარობა? რა მიზეზია? მიზეზი არის ის, რომ მუშებს არა აქვთ შეგნება, არ არიან შეკავშირებულნი მბეჭდავები და ეს არის მიზეზი, რომ გამეფებულია მბეჭდავებში „ობივატელშჩინა". მბეჭდავებო! არ ჩამორჩეთ სხვა მუშებს, დაუმტკიცეთ მათ, რომ თქვენც შეგაქვთ თქვენი წვლილი საერთო საქმეში. ნუ იქნებით შტრეიკბრეხერები ყაზანის მბეჭდავებსავით. მაგალითი მიეცით შრომის დისციპლინას. („პრავდა" № 98)

ფოსტის ყუთი. ამხ. მუშა ხოკოლიამსკის, სად. ხემიკრაკაროვო. დონის ოლქი. დაბეჯითებით ამტკიცებთ, დონის მუშების რევოლიუციონურ გმირობას. 1918 წლის ფაქტები კი ამისთვის დაძველებულია. საჭიროა ახალი ფაქტების გამონახვა.

„ობივატელებს". მოსკოვი. რძეში წყლის გარევა, რომელსაც ადგილი აქვს ბაზარზე, არ არის კარგი, მაგრამ ეს არის საქმე ისეთივე „ობივატელებისა", რომლებიც ლანძღავენ საბჭოთა მთავრობას და ჩუმათ კი სპეკულიაციას აწარმოებენ. დაიცავით საბჭოთა მთავრობა და რძეც, უეჭველია, გასქელდება.

ამხ. პ. ზრაგს. ლატიშის მსროლელთა დივიზიას. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მომენტია ამჟამათ ამისთვის შეუფერებელი. გადაეცა ლატიშთა განყოფილების ეროვნებათა გამგე სახალხო კომისარიატს.

წითელ არმიელ ამხ. არაევს, ოჩინკი. ნიჟეგოროდის გუბ. ბევრი ნაკლი გვაქვს ჩვენ, მაგრამ შეგნებულმა ამხანაგებმა უნდა იცოდენ, რომ საფრთხის დროს არ უნდა იბეჭდებოდეს ისეთი ცნობები, რაც მეტად საინტერესო გახდება მუშათა და გლეხთა მტერთათვის. („პრავდა" № 98).

ოსმალეთი და საბჭოთა რუსეთი. პიატიგორსკი. 30 აპრილი. პიატიგორსკზე გაიარეს ოსმალეთის მცირე აზიის მთავრობის წარმომადგენლებმა ხალილ ფაშამ და დოქტორ ფუადმა—ოსმალეთის კომუნისტურ პარტიის წევრმა. კავკასიის „როსტას" წარმომადგენელთან საუბრის დროს ოსმალეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ მიემგზავრებიან მოსკოვში საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ ანატოლიის მთავრობის მუსტაფა ქემალის დავალებით.

ხალილ ფაშის განცხადებით, ოსმალეთი დროებით ზავის ჩამოგდების შემდეგ, მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა მოკავშირეები, უმთავრესად ინგლისელები, შეიქნენ ნამდვილი ბატონპატრონნი კონსტანტინეპოლისა. ამასთანავე, მთელი აზიის ოსმალეთი გაიყვეს გამარჯვებულებმა; საბერძნეთმა მიიღო სმირნის გარშემო მდებარე ადგილებით იტალიამ მიიღო ტერიტორია სამხრეთ სმირნისა, საფრანგეთმა სირია. მმართველი წრეები სულთანის მეთაურობით მორჩილებოდენ ამ გაყოფას. ცდილობდენ ძალა-უფლების შენარჩუნებას და სურდათ რევოლიუცია, რომელიც მოხდება ოსმალეთში, ჩაექროთ უცხო ჯართა მეოხებით. მთავრობის ასეთმა მოქმედებამ აღელვება გამოიწვია მცხოვრებლებში. ამ აღელვებას ნაციონალური, დემოკრატიული ხასიათი აქვს. უკმაყოფილო ელემენტებმა თავი მოიყარეს მცირე აზიაში, სადაც დაარსდა დამოუკიდებელი დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც მეთაურობს პოპულიარული პიროვნება—მუსტაფა-ქემალ ფაშა. ამ მთავრობამ დაადგინა დაუახლოვდეს საბჭოთა რუსეთს რომელიც, მისი აზრით, დახმარებას აღმოუჩენს მათ მოკავშირეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთანავე, უკანასკნელ ხანში მცირე აზიის მცხოვრებნი, რომელთა რიცხვი 10 მილიონს აღემატება, საბჭოთა მთავრობის [illegible] ლოზუნგები, რომელიც წამოყენებულია დემოკრატიის მიერ, არ იტაცებს მცირე აზიის მცხოვრებთ, იქ არ არის არც მსხვილი ბურჟუაზია და არც მსხვილი მემამულეები. საბჭოთა სისტემა მიაჩნიათ მისაღებათ მცირე აზიის თურქებს. დელეგატებმა, სხვათა შორის განაცხადეს, რომ ნაწილი დენიკინის ჯარისა გადაიყვანეს ინგლისელებმა აზიის სომხეთში, სადაც ისინი თუმცა ითვლებიან როგორც განიარაღებულნი, მაგრამ ფაქტიურათ კარგათ არიან შეიარაღებულნი და ყოველ წამს შეუძლიათ დაიწყონ სამხედრო მოქმედება, თუ კი ამას მოისურვებენ ინგლისელები. უკანასკნელნი აიარაღებენ სომხებსაც და მათი საშუალებით სურთ შეაჩერონ ბალშევიზმის გავრცელება აზიაში და ინდოეთში. („იზვესტია" № 94).

დეზერტირები. დეზერტირებთან მებრძოლმა მოსკოვის კომისიამ დაატუსაღა ივან ვეინაროვიჩი, რომელიც ყალბი დოკუმენტებით ანთავისუფლებდა სამხედრო ბეგრისაგან ხალხს. 5 თებერვალს 1920 წელს ზემოხსენებულ პირს სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა უვადო სავალდებულო სამუშაო. მან მოახერხა გაქცევა. შეპყრობილ იქნა ხელმეორეთ, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ყალბი შტემპელები და ბლანკები. მასთან ერთად შეიპყრეს რამდენიმე პირი, რომელთაც აგრეთვე აღმოაჩნდათ ყალბი შტამპები და დოკუმენტები.

28 და 29 აპრილს დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ ალყა შემოარტყა ალექსანდრეს ბაღს, სადაც შეპყრობილ იქნენ 216 კაცი, მათგან 32 დეზერტირი. დეზერტირობასთან მებრძოლი კომისია სთხოვს ყველას თან იქონიონ სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების დოკუმენტები, რომ ჩხრეკის დროს არავითარ გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი. („პრავდა" № 96)

შავ დაფაზე. მოსკოვის სამხარ მასალის გამკეთებელ ქარხნის კომუნისტების იაჩეიკა თავის ლოზუნგებს არ გადაუხვევს. „შრომასა და დისციპლინაში არის ჩვენი ხსნა". იაჩეიკა მადლობას უძღვნის იმ ამხანაგებს, რომელთაც მიუხედავათ „შკურნიკების" დადგენილებისა, პირველ მაისს არ ვიმუშავებთო, მაინც დაუჯერეს კომუნისტების მოწოდებას და გამოვიდნენ სამუშაოზე 700 კაცამდე. (სულ მუშათა რიცხვი 1400 არის ამ ქარხანაში). მოღალატურმა მოწოდებამ პოდმარკოვებისა და ნიკიფოროვებისამ იპოვა გამოხმაურება იმ „შკურნიკ" მუშებში, რომლებიც მეფის დროს ყურმოჭრილი მონები იყვნენ და გაფიცვების დროს სამუშაო დაზგებს თავს არ ანებებდენ.

იმ დღეს, როდესაც მთელი პროლეტარიატი ახდენდა დემონსტრაციას თავის ძალებისას, იმ დღეს, როდესაც დიდიდან პატარამდე ყველა გამოვიდა სამუშაოზე, ამ დროს 700 „შკურნიკი" მიემხრო პოდმარკოვებს და ნიკიფოროვებს და არ მიიღეს მონაწილეობა სრულიად რუსეთის პირველ მაისის შრომის დღეში. ეტყობა ჩლუნგი გონების პატრონებმა ნიკიფოროვმა და პოდმარკოვებმა და მათმა დამქაშებმა ვერ შეიგნეს, რომ მხოლოდ შრომას შეუძლიან გვიხსნას გაჭირვებულ მდგომარეობიდან. ან, იქნება, იმედი ჰქონდეთ, რომ მოვა გარეშე ძალა, რომელიც მოგვიტანს პურს, მოგვცემს ორთქლმავალებს და ყოველივე იმას, რაც ჩვენ გვჭირია. ეს არ იქნება და არც ასეთი იმედებით ვიკვებავთ ჩვენ თავს და არ ვაყოვნებთ არც ერთ წუთს, მთელ ჩვენს ძალას ვამუშავებთ, რომ ვიხსნათ მსოფლიოში პირველი სოციალისტური რესპუბლიკა. და ჩვენ გვწამს, რომ ვიხსნით მას და იმ „შკურნიკებს", რომლებიც გაჭირვების დროს ხელს უშლიან მუშათა კლასს თავის საქმე გააკეთოს, ჩვენ ვეუბნებით მათ: „სირცხვილი თქვენ, არ გაქვთ ადგილი პატიოსან მშრომელთა რიცხვში". კომუნისტების იაჩეიკის თავმჯდომარე **პ. მეჯვედევი.** („პრავდა" 96.)

სასირცხო ფაქტი. 27 აპრილს სოკოლნიკის ქარხნების ხელოსნების მიერ ერთხმად დადგენილ იქნა იმუშაონ მთელი კვირის განმავლობაში ზედმეტი საათები. 3 მაისს ეს დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი. 4 მაისს ერთმა ჯგუფმა „შკურნიკებისამ" მოითხოვა მუშათა საზოგადო კრების მოწვევა. ისარგებლეს რა მუშათა მოქანცულობით, მოუწოდეს მათ გადასინჯულ იქნას 27 აპრილის დადგენილებაო. მცირეოდენი ხმის უმეტესობით მიიღეს მათი წინადადება. მუშების მეორე ნაწილმა—162 კაცმა მხნეთ მოჰკიდა ხელი მუშაობას და გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ზიზღით იხსენიებდენ „შკურნიკებს". ზავკომის წევრი **გრიგორიევი.** („პრავდა" 96).

„წითელ" აძერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

განჯის ამბების გარშემო. განჯაში ბალშევიკური მთავრობის გაბატონება შემდეგ პირობებში მოხდა: ქალაქის გამგეობის სამმართველოსთან გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგში 200-მდე სული იღებდა მონაწილეობას—უსაქმური ხალხი და ქუჩის ბიჭ-ბუჭები, ახლად დანიშნული ქალაქის კომისარი ალიევი ორკესტრით გაემართა საპყრობილეებისაკენ და გაანთავისუფლა პოლიტიკური დამნაშავენი. 4 მაისიდან ქალაქში იწყო შემოსვლა საბჭოთა ჯარის მე-32 დივიზიის მე-11 არმიის ნაწილებმა, განსაკუთრებით ქვეითა ჯარმა (ცხენოსნები უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდენ). თვითეულ რაზმში 500-მდე ჯარის კაცია,—ჩამოხეული და ფეხშიშველი. ჯარის კაცები უმთავრესად 18—19 წლიანი არიან, შეხვდებით ბავშვებს 15—16 წლიანებს. ჯარის შეიარაღება ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა სდგას, თოფები დაჟანგულია, არა აქვს ხიშტები, ზუმბა და სხვ. ზოგიერთი თოფის ლულა გადაჭრილია, კონდახები ჩამოჭრილი, [illegible] ეტყობა თვითონ ჯარისკაცის მიერ. განჯელები წინ შეეგებენ საბჭოთა ჯარებს: ყველას აინტერესებდათ ენახათ ეს გმირები, რომლებმაც დენიკინი და კოლჩაკი დაამარცხეს, მაგრამ საბჭოთა ჯარების, ლონემიხდილ ჩამოხეულ ჯარის კაცების ნახვამ იმედი გაუცრუვათ განჯელებს. შემოსვლისთანავე ბალშევიკებმა იწყეს ზრუნვა ჯარის დაბინავებაზე; მოახდინეს რეკვიზიცია სხვადასხვა დაწესებულებების ჯარის შტაბებისთვის და „ჩრეზვიჩაიკისთვის". რეკვიზიციამ ფართე ხასიათი მიიღო. იყო შემთხვევა, რომ მოქეიფე აფიცერთა ერთ-ერთ „კამპანიამ" მოსთხოვა დიასახლისს მოეყვანა თავისი ქალები მათთან დროს გასატარებლათ. მოახდინეს ცხენების ეტლების, ზედმეტ საცვლებისა და ტანისამოსის რეკვიზიცია. ბალშევიკებმა დაიჭირეს ცეიხგაუზები, იარაღებისა და საარტილერიო საწყობები. დაიწყეს ჩხრეკა; ჩხრეკის დროს მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ—ბრინჯი, ქიშმიში, შაქარი, ასანთი, სანთელი და მანუფაქტურა. უცებ გირვანქა ფხვნილი შაქრის ფასი 500 მანეთამდე ავიდა, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ ქალაქში არ იშოვებოდა არც შაქარი და არც ქიშმიში. ცხოვრება საათობით ძვირდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით რუსი მუშები, რომლებიც სიხარულით მოელოდნენ ბალშევიკებს, იძულებული გახდენ ამ ნიადაგზე აჯანყებულიყვნენ. ამავე დროს ბაქოში გირვანქა პური უკვე 100 მან. ღირდა. განჯაში ბალშევიკებმა დახურეს რესტორანები, სასტუმროები და სხვ., რის გამო ბევრი მუშა-მოსამსახური უალაგოთ დარჩა. ხალხში უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა; ბალშევიკები შეურაცხყოფას აყენებენ მეჩეთს, ყურანს, ალლახს—ყველაფერ იმას, რაც მუსულმანებისთვის წმინდათა წმინდას შეადგენს. ამიტომ აშკარა გამოსვლა ბალშევიკების წინააღმდეგ ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო, 20 და 22 მაისს აძერბეიჯანელ შიხინსკის რაზმის 4 ჯარისკაცი მიდიოდა თავიანთ ყაზარმებისაკენ. გზაზე მათ გაჩხრეკა მოუნდომეს რუსმა ჯარისკაცებმა. ისინი გაიქცნენ ყაზარმაში და შეატყობინეს ყველაფერი თავიანთ ამხანაგებს. რაზმი მაშინვე გამოვიდა, თავს დაესხა ბალშევიკების რაზმს, მოუკლა მას 90-მდე კაცი და წაართვა 4 ზარბაზანი. ამრიგათ უკმაყოფილება თანდათან პოპულიარული ხდებოდა. ბალშევიკებმა ვერ შეასრულეს თავიანთი დაპირება, რომ ისინი არ ჩაერეოდენ აძერბეიჯანის შინაურ საქმეებში. ბალშევიკების მიერ დაყენებული ადგილობრივი მთავრობა ყველაფერში ემორჩილება რუსეთის ბალშევიკებს. ხშირათ აძერბეიჯანის მთავრობის განკარგულებები უქმდება რუს ბალშევიკების განკარგულებით. მუსულმან მცხოვრებლებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართ. ოფიცრების დაპატიმრება განჯაში და ყაზახში. შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდებოდა იმით, რომ ქართველებს ატყვევებდენ, როგორც მოღალატეებს და გამყიდველებს, რაც მუსულმანებს ვერ წარმოედგინათ. მთელი უკმაყოფილების დაგვირგვინებით შეიძლება ის აჯანყება ჩაითვალოს, რომელიც განჯაში 25—26 მაისს ღამით მოაწყვეს აძერბეიჯანელმა გლეხებმა და ასკერებმა. აჯანყებული იყო 5 ათასამდე შეიარაღებული მუსულმანები, რომელთაც შეუერთდა განჯის გარნიზონი. აჯანყებულებს მიზნათ ჰქონდათ დასახული ბალშევიკების განჯაში დამარცხება, შემდეგ ყაზახისაკენ გადასვლა და შეერთება აძერბეიჯანის ჯარებთან ყარაბაღში.

მნახველთა შთაბეჭდილებები ასეთია: საბჭოთა ჯარები მივიდენ აძერბეიჯანში იმ მიზნით, რათა გაეტანათ რუსეთში ყველაფერი, რაც კი მოსახერხებელი იქნებოდა. საქართველოზე თავდასხმა ვერ მოახერხეს. ამ ფრონტებზე მათ ბევრი დანაკლისი იგემეს. ამას ბალშევიკები იმით ხსნიან, რომ ქართველები ჯერ არ არიან მომზადებულნი კომუნისტურ წესწყობილებისათვის. გარდა ამისა, ბალშევიკები შემდეგის ახსნით ინუგეშებენ თავს: ამბობენ,—არ უნდა ვიმოქმედოთ იარაღით გლეხებისა და მუშების წინააღმდეგო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

4 ივნისი.

ფრანგული ცნობები.

იარაღის საწყობი ჰანოვერში.

ჰანოვერის ახლოს იპოვნეს იარაღისა და სამხედრო მასალის საწყობები.

სპეკულიანტთა წინააღმდეგ.

პალატამ დანიშნა კომისია სპეკულიანტთა საწინააღმდეგოთ კანონ-პროექტის გამოსამუშავებლად.

ღვინის მოსავალი საფრანგეთში.

იუწყებიან: სამხრეთ საფრანგეთში ღვინის მოსავალი დიდი იქნებაო.

სომხეთის მანდატი.

ამერიკის სენატმა სომხეთის მანდატი უარყო.

საქონლის გატან-შემოტანა.

ვაშინგტონიდან მოსულ ცნობით ამერიკაში საფრანგეთიდან გატანილ საქონლის ფასი 4 ნახ. მილიონ დოლარს უდრის, ამერიკიდან გამოტანილის კი 5 მილიონს. 10 თვის განმავლობაში გატანის საერთო ციფრი 145 მილიონ დოლარს აღწევს.

ნახშირის დამუშავება.

გაზ. „ტანის" ცნობით ინგლისის მთავრობის ახალი პროექტით გატარებული იქნება ცხოვრებაში 10 დღის შემდეგ. ინგლისის ნახშირის დამუშავება ყოველ წლივ უნდა შეადგენდეს 20 მილიონ ტონს, აქედან 13 მილიონი სამხრეთ მიდამოებიდან იქნება შემოტანილი. გაიხ მომხდარ შეთანხმების თანახმად ამ 20 მილიონი ტონიდან საფრანგეთი მიიღებს 45 პროც. ე. ი. 9 ნახ. მილიონ ტონს.

[illegible] კრედიტორებისთვის.

(დასაწყისი არ მიგვიღია) ეს თათბირი რომელიც მოაწყო რუსეთში საფრანგეთის ინტერესების დასაცავად დაარსებულმა გენერალურმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარეა ნულენსია, მიზნათ ისახავს რუსეთში ევროპის კრედიტორთა ინტერესების დაცვისათვის გეგმის გამომუშავებას.

სასოფლო-სამეურნეო საკითხები.

სამშაბათს პალატამ განიხილა სასოფლო-სამეურნეო საკითხები. საერთო კამათისაგან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პალატა ყოფილი საშუალებით ფიქრობს ხელი შეუწყოს დამუშავების ინტენსივობას და გააუმჯობესოს სამეურნეო მომუშავეების მდგომარეობა.

ჩეხო-სლოვაკიაში.

პარიზის მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარემ ჩეხო-სლოვაკ[illegible] [illegible]კის პრეზიდენტ მასარიკ[illegible] სამადლობელი დეპეშა, სადაც გამოთქმულია რწმენა რომ საფრანგეთის სატახტო ქალაქი ჩეხო-სლოვაკიასთვის დარჩება არა მარტო ცივილიზაციის უდიდეს ლამპრათ, არამედ დიდ მფარველადაც და რომ იგი ჩეხო-სლოვაკიას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მხარს დაუჭერს.

ლონდონიდან იუწყებიან: ჩეხო-სლოვაკთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბენეშმა განაცხადა, რომ მისი აზრით ტეშენის საკითხი მშვიდობიანი გზით შეიძლება გადასწყდეს. ბენეში ხუთშაბათს პარიზში გაემგზავრა.

ლიონის რადიო-სადგურის ცნობა.

(ინგლისურ ენაზე).

ფინანსიური ხელშეკრულებისათვის.

გერმანიის წარმომადგენელი ნახშირის მაღაროების მფლობელი გაზეთის მესაკუთრე და ფინანსისტი ჰუგო სტინესი პარიზში მოვიდა, რათა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ფინანსიური ხელშეკრულების პირობების შესახებ მოკავშირეთა წარმომადგენლებს შეხვდეს.

გერმანიის მოვალეები.

შესამოწმებელი და კომპენსაციის ბიურო, რომელიც გერმანიის მოვალეებსა და საფრანგეთის კრედიტორების შორის ანგარიშების მოსაწესრიგებლად არის შექმნილი თავის მუშაობას 1 ივნისიდან დაიწყებს. 1 დეკემბრამდე საფრანგეთის კრედიტორებმა უნდა აუწყონ ბიუროს ნამდვილი ჯამი, რომელიც მათ ერგებათ. ეს გადასახადები გაგზავნილი იქნება გერმანიის სათანადო ბიუროში, და არა თვით გერმანელ მევალეებთან. გერმანიის სახელმწიფო ითვლება ერთად ერთად, რომელიც პირდაპირი პასუხისმგებელია საფრანგეთის კრედიტორების წინაშე. როდესაც გერმანიის ბიურო აღიარებს ვალის ანგარიშს, საფრანგეთის კრედიტორი მიიღებს საბუთს, რომლითაც აღიარებული აქნება მისი უფლება იმ ჯამზე, რომელიც გამოანგარიშებული იქნება ომამდე ფრანკის კურსით, მაგრამ გადახდის ვადა აღნიშნული არ იქნება. მისაღებ თანხას გადაიხდიან თანდათანობით ფულის შემოსვლის მიხედვით საფრანგეთის ბიუროდან იმ თანხიდან, რომელსაც გერმანიის ბიურო შეაგროვებს.

საერთო ჯამის ანგარიშის შემდეგ მოხდება ფულის გადახდა. ამგვარად ვერსალის ხელშეკრულების თანახმად გერმანიის ყოფილი კრედიტორი ფრანგები ხდებიან კრედიტორებათ საფრანგეთის მთავრობისა, რომელსაც ხელთა აქვს საფრანგეთის მიერ წართმეულ გერმანიის საკუთრების გაყიდვისაგან შემოსული ფული.

ბალშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

სამხრეთ დასავლეთის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სვენციანის მიმართულებით მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა აღმოსავლეთისაკენ დაიხია. დაბა დუბლოვიჩის რაიონში ბრძოლაა. მოლოდეჩნოს რაიონში ბრძოლა გრძელდება, ადგილები ხელიდან ხელში გადადის. მდ. ბერეზინას დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ნაწილებმა უკან დაიხიეს... (გამოტოვებულია).

ახალი ამბები

მუშათა მდგომარეობა. შრომის მინისტრის ამხანაგმა ა. ბახტაძემ საქციონერს საზოგადოების „ჩემო-ს" გამგეობას წერილებით მიმართა, რომ მან ფოთში ყოფნის დროს გაიცნო სხვადასხვა დარგის მუშების მდგომარეობა. მუშათა მდგომარეობის გარკვევის დროს მან ყურადღება მიაქცია საქციონერს საზოგ-ის, „ჩემო-ს" მუშების არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. ა. ბახტაძის აზრით აღნიშნულ დაწესებულებებში მუშათა მდგომარეობა დაუყოვ-

რაჭა-ლეჩხუმი

(დასასრული, იხ. „ერთ.". № 123)

ჭრებალოდან იწყება რაჭა; ჭრებალო ამ ორი მაზრის გზაჯვარედინზეა და ორივე მაზრას მაგრათ ჩაუკიდნია ხელი. რაჭა ცდილობს მისაკუთრებას, მაგრამ ლეჩხუმი ჭრებალოს არავის ანებებს,

არც დაანებებს, რადგანაც ჭრებალო თავისი მდებარეობით მეტათ ლამაზია, ბუნებით მდიდარი და ვაჭრობითა და მოძრაობით წარჩინებული.

მთელი რაჭა უმთავრესათ რიონის ხეობაა. მარცხენა ნაპირი უფრო ვრცელია და მჭიდროთაც არის დასახლებული, მარჯვენა უფრო პატარაა.

ლეჩხუმივით რაჭა მთიანი ადგილია, მაგრამ ლეჩხუმის კლდე-ღრეს აქ ვერ ნახავთ.

რაჭის მთები, ისე როგორც ლეჩხუმისა, კავკასიონის კალთებია. ამ კალთებს ღრმათა სჭრის რიონი. აქეთ-იქით კი პატარა ღელე-მდინარეებს დაუსერავს ეს კალთები და რიონიდან მოყოლებული შქმერის მთამდე რამდენიმე სერია ნაკეც-ნაკეცათ.

რაც უფრო ზევით იწევთ, მამისონისაკენ, მთები თანდათან მაღლდებიან. და თოვლის თეთრი ქუდებით დარაჯათ შემომწკრივებიან რაჭის მთიულეთს-გლოლას, ჭიორასადალებს.

გზები რაჭაში გაცილებით უკეთესია, ვიდრე ლეჩხუმში და მიმოსვლაც შედარებით უფრო ადვილია.

სამაგიეროთ მიწის მეტის-მეტი სიმცირეა. მთელ რაჭის მაზრაში სამოცი დესეტინა არ არის საფონდო მიწა.

რაც არის, ისიც მწირია და კარგ მოსავალს არ იძლევა.

რაჭაში მხოლოდ სავენახე ადგილებია კარგი, განსაკუთრებით ჭრებალოს მიდამოებში, ტოლასა და ხვანჭკარაში.

აქაური ღვინო სასმელათ მეტის-მეტათ საამოა და მეღვინეობას რაჭაში უსათუოდ ექნება მომავალი.

როგორც რაჭაში, აგრეთვე ლეჩხუმშიაც მეფუტკრეობა მომავალში უსათუოდ მოიკიდებს ფეხს, რადგანაც მთელი ბუნება უწყობს ხელს.

ორივე მაზრის მთიან ადგილებში კი—სადაც საბალახე ბევრია და ხალხი საქონლის მოშენებას ეტანება, ძროხეულის წარმოება (ყველი, ერბო, კარაქი) იქაურ მეურნეობაში უპირველეს ადგილს დაიჭერს.

ლეჩხუმი მდიდარია მადნეული წყალით. ქვემო სვანეთში განთქმულია ლაშხეთი რკინისა და მჟავე წყალით, ზემოსვანეთი ხომ მოფენილია ამგვარი სიმდიდრით.

რაჭაშიაც ბევრია მადნეული წყალი—მჟავე, რკინისა და გოგირდისა.

ონში ბევრგან ჰში ამოდის საუცხოვო მჟავე წყალი და უწერას ხომ მთელი საქართველო იცნობს.

ორივე მაზრა საკმაოთ მდიდარია ტყით და ტყის წარმოებას აქ დიდი მომავალი აქვს.

მაგრამ რაჭა მეტათ ღარიბია მიწით და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ რაჭველი დიდი ხნიდანვე გადის გარეთ ფულის საშოვნელათ.

რაჭის მიწა რაჭველ ხალხს ვერ არჩენს, რა გინდ კარგი მოსავალი იყოს. რაჭის გამომკვები თერგის ოლქია. ამ ორი წლის წინათ თერგის ოლქიდან რაჭაში გადმოსულა რამდენიმე მილიონი ფუთი სიმინდი, რითაც რაჭას გარდა იმერეთსაც უსარგებლია.

შარშან რაჭაში მოსულა 314,834 ფუთი სიმინდი, რაც რაჭას ჰყოფნის დაახლოვებით სამ თვეს.

ერობა ბევრს მუშაობს და სადაც კი შესაძლებელი იყო, შეუძენია სიმინდი, მაგრამ მარტო ნორჩი ერობა თავისი პატარა თანხით რას გააწყობდა.

მთავრობამ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება რაჭას და რამდენჯერმე გაუგზავნა სურსათი, მაგრამ გაჭირვება მეტის-მეტათ დიდია.

მთელი რაჭა დამშეულია და საშინლათ დამშეული. მთავრობისაგან მიღებულ სიმინდს ერობა ანაწილებს განსაკუთრებულათ ღარიბებში, მაგრამ გაჭირვება ისე დიდია, რომ ზოგს ხუთი გირვანქა ერგება, ზოგს ათი, ზოგს ისიც

ნებლივ შეცვლილი უნდა იქნეს. სხვათა შორის ა. ბახტაძე აღნიშნავს, რომ მუშებს არა აქვთ აბანო, სასადილოები, სამკითხველოები და რომ საავათმყოფო კასა ცუდ მდგომარეობაშია. (სდს)

◆ **ფეხსაცმელები მცხოვრებთათვის.** თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას აუწყებენ, რომ თფილისში ამ მოკლე ხანში მოელიან დიდ-ძალ საქონელს, რომელიც სასურსათო განყოფილების აგენტებმა იყიდეს იტალიურ ფირმა „ვალაცი“-საგან. საქონელში იქნება უმეტესი ნაწილი ფეხსაცმელები და მანუფაქტურა, რომელიც შეფასების შემდეგ დაუყოვნებლივ დაურიგდება სასურსათო განყოფილების მაღაზიებს მცხოვრებლებზე იაფ ფასებში მისაწოდებლად. (სდს)

◆ **სარძევე-გასტრონომიული მაღაზიები.** თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება თავის მოქმედების გასაფართოებლად ზომებს ღებულობს. ამ ჟამად საკითხი სდგას თფილისში სარძევე-გასტრონომიული მაღაზიების დაარსების შესახებ. ამ სანოვაგის შეძენა უკვე დაიწყო ბორჩალოს მაზრაში. თფილისის მცხოვრებთა უფრო მეტად უზრუნველყოფის მიზნით გახსნილი იქნება სარძევე ფერმა. ამასთან ერთად სასურსათო განყოფილება ქალაქის მცხოვრებლებისთვის ხორცის მიმწოდებელ ორგანიზაციას აწყობს. სასურსათო განყოფილება აღნიშნავს, რომ ამ ჟამად ხორცის ფასი ძლიერ გაიზარდა, რაც არ არის გამოწვეული ბაზრის ობიექტიური პირობებით. სახელდობრ, სასურსათო განყოფილება ხორცზე ფასის მოსაწესრიგებლად ხორცის გასაყიდ დუქნების მოწყობას აპირებს. უკვე დაიწყეს შინაური საქონლის ყიდვა. დაბოლოს, მიქცეულია ყურადღება, რომ მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნენ მარილით. ამ დღეებში ბათუმიდან მოელიან რამდენიმე ვაგონ მარილს, რომელიც სასურსათო დუქნებს დაურიგდებათ მცხოვრებთა შორის გასანაწილებლად.

◆ **მომქმედ კანონების ხელახლა განხილვა.** იუსტიციის მინისტრ რ. მ. არსენიძის თავმჯდომარეობით მომქმედ კანონთა ხელახლა განსახილველად შემდგარი კომისია საბოლოოთ შესდგა. დაარსდა შინაკომისიები: 1) სისხლის სამართლის კანონების განსახილველად: თავმჯდ. ამხანაგი ლ. ა. კრასნინი, მუდმივი წევრები: ლ. ა. შურღაია, მ. პ. დიაკონენკო და ე. ვ. ჩემესოვი. 2) სამოქალაქო კანონების განსახილველად თავმჯდომარის ამხანაგი ს. დ. ჯაფარიძე. მუდმივი წევრები: ა. მ. ახნაზაროვი, ა. ნ. გეევსკი, ი. ი. დავიდოვიჩი. კანონების გადახილვის კომისია ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას. სხვათა შორის კომისიის მუშაობაში მოწოდებულნი იქნებიან არა მარტო მუდმივი წევრები, არამედ—თავმჯდომარის და მისი ამხანაგის მოწვევით სპეციალისტებიც. (სდს).

◆ **მიწათმოქმედების სამინისტრომ** ცირკულიარით აცნობა ხელქვეით დაწესებულებათ,—თუ როგორი წესით უნდა მიიღონ კრედიტები სახელმწიფო მამულებმა და წარმოებებმა. თანახმათ ცირკულიარისა, ახალი საბიუჯეტო წლიდან, ესე იგი, პირველ ივლისიდან მიწათმოქმედების ყველა დაწესებულება და წარმოება მიიღებენ ასიგნოვკებს სახელმწიფო ხაზინიდან დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში (სდს).

◆ **გზათა დეპარტამენტის დირექტორის** წინადადებით რკინის გზათა ექსპლოატაციის უფროსმა გ. ა. აბელოვმა ტელეგრამით მოუწოდა ყველა სადგურების უფროსებს, რათა უკანასკნელებმა მოსამსახურეთა ვაგონები სამგზავრო მატარებლებს არ მიაბან. ვინაიდან სამგზავრო მატარებლების გამოსვლა ძლიერ შემცირებულია და აგრეთვე სამხედრო საჭიროებისათვის ხდება ვაგონების მიბმა მატარებლებზე, აღნიშნავს აბელოვი თავის მოწოდებაში, პროტექციული ვაგონების მიბმა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ეთხოვ აგენტებს, ვისაც აქვს უფლება მოსამსახურეთა ვაგონებით სარგებლობისა, მიაბან ასეთი საბარგო მატარებლებს. გარდაცვალებულთა ვაგონების მიბმა სამგზავრო მატარებლებზე ყოვლად დაუშვებელია, შესაძლებელია მიაბან № 21 და საბარგო მატარებლებს. (სდს).

◆ **ბოროტმოქმედთა შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო და ადმინისტრატიულის წესით სამი თვით მოათავსა ციხეში ჰაირაპეტ ოჰანესის ძე სააკიანცი და მარტიროზ კარაპეტის ძე მიკირტიჩიანცი, როგორც ბოროტმოქმედთა ორგანიზაციის წევრები. მათ ბრალდებათ თავდასხმა მილიონერ მელიქ დადაევზე, რომლის გაძარცვაც ბოროტგამზრახველებმა ვერ მოასწრეს.

◆ **კინემატოგრაფი ფრონტზე.** საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის გამგეობამ 200,000 მან. გადასდო ფრონტზე კინემატოგრაფის სეანსების მოსაწყობათ.

◆ **კვირას, 6 ივნისს,** დილის 11 ს. მუსულმანთა აუდიტორიის ბინაზე შესდგება მე-6 რაიონის ს.-დ. საზოგადო კრება. მოხსენებას გააკეთებს მიმდინარე მომენტზე ამხ. ნ. რამიშვილი.

◆ **სასოფლო-სამეურნეო დახმარება მცხოვრებთ.** მიწათმოქმედების სამინისტრომ ტელეგრამით შეეკითხა პროვინციას, თუ რომელი ადგილი დაზარალდა უკანასკნელ სეტყვის დროს. გამოირკვა, რომ ყველაზე უფრო დაზარალებულა თელავის მაზრა. მიწათმოქმედების სამინისტრომ საჩქაროდ გადაუგზავნა თელავის მაზრის ერობას სამი მილიონი მან. მცხოვრებთათვის სასოფლო სამეურნეო დახმარების აღმოსაჩენად. (სდს).

◆ **კოოპერატიული ცხოვრება.** საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირში მიღებულია ცნობა, სოხუმის რაიონის კოოპერატივთა კავშირის დაარსების შესახებ. საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირში ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა მთელი მუშათა კოოპერაციის გაერთიანების შესახებ. კერძოთ, განზრახულია თფილისის მუშათა კოოპერატივების გაერთიანება კოოპერატივ „აღორძინების“ გარშემო. (ს დ ს).

◆ **აფერისტის შეპყრობა.** შეიპყრეს აფერისტი სერგეი დიმიტრისძე პოკროვსკი, რომელსაც ბრალდებოდა 50,000 მან. ნივთების და 50,000 მან. ფულის მოპარვა ქ. ბათუმში. პოკროვსკი დანაშაულში გამოტყდა, იგი გაიგზავნა ფოთში საქმის გამოსარკვევად.

◆ **ტომსკელ სტუდენტთა საყურადღებოთ.** 6 ივნისს, დღის 5 ს. (საპიორის შესახვევი სახლი № 3) დანიშნულია ტომსკელ სტუდენტთა საერთო კრება ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გამო.

◆ **საქართველოს სამეცნიერო არქივი** გადადის ყოფილ სამხედრო-საოლქო სასამართლოს შენობაში. ამ შენობაში არსებული სამხედრო სასამართლო გადადის სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში (სდს).

◆ **მოსკოვიდან მიღებული წერილების** რედაქციაში გადარჩევის დროს თუ ვინმემ შემთხვევით წაიღო, შესაძლოა, გადასაცემათ, ვერა ალექსანდრეს ასულის ბუკიშის სახელობაზე მოსული წერილი, უმორჩილესად ვსთხოვთ დაგვიბრუნოს.

◆ **გორის ფონდი.** რედაქციამ მიიღო კასინე ქინქლაძისაგან—100 მან.

◆ **საგეოლოგიო ექსკურსია.** კვირას, ივნისის 6-ს საქართველოს მუზეუმის დირექტორის ნოე ყიფიანის ხელმძღვანელობით გაიმართება საგეოლოგიო ექსკურსია ბოტანიკურ ბაღის და დაბახანის ხეობის მიდამოებში (კოჯორის მიმართულებით) ექსკურსიაში მონაწილეობას მსურველნი უნდა გამოცხადდენ კვირას, დილის 8 საათზე საქართველოს მუზეუმის შენობაში (ლორის-მელიქის ქუჩა № 10). ექსკურსანტები გამგზავრების წინ მოისმენენ ბ-ნ ყიფიანის მცირეოდენ განმარტებას ბოტანიკურ ბაღის და დაბახანის ხეობის მიდამოების შესახებ.

◆ **ბირჟა.** ოფიციალური კურსი. სავაჭრო-სამრეწველო პალატა სამ ივლისს ღირებულებათა შემდეგი კურსის შესახებ იტყობინება: სტერლინგი ბანკნოტი 1300 მან. ჩეკი—1225 მ. ფრანგული ფრანკი-ქაღალდის 24 მ. 50 კ. ჩეკი—19 მ. 50 კ., იტალიური ლირა 16 მ. 75 კ. ჩეკი—15 მ. 50 კ. ავსტრიის ქაღალდის კრონი 1 მ. 70 კ. ოსმალეთის ოქროს ლირა 1580 მ. ქაღალდის 290 მან. ქაღალდის დოლარი 340 მ. ჩეკი 300 მ. გერმანიის ქაღალდის მარკა 6 მ. 50 კ. ნიკოლოზის მანეთი: ოქროს 10 მ. 1850 მ. ქაღალდის 100 მანათიანი 350 მ. 500 მანეთიანი 1800 მ. (სდს).

პროვინციის ქრონიკა.

3 ივნისს, დილის ზუსტ 11 ს. ქუთაისში სამხედრო ბინათა დისტანციის შენობაში (ჭავჭავაძის და ინჟინერის ქუჩების კუთხეში) დანიშნულია საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წლიური კრება.

დამფუძნებელ კრების კომისიებში

დამფუძნებელ კრების სასოფლო მეურნეობის კომისიამ მოიწონა მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ შემუშავებული შემდეგი კანონ-პროექტი:

I. ერობათა ახალ საბიუჯეტო უფლებების შემუშავებამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილებაში შემოსულ საერთო შემოსავლიდან, რომელიც ნამდვილათ იქნება შეტანილი ხაზინაში, სათანადო ერობის სასარგებლოთ გადარიცხულ იქნას 20 პროც.

1) ყოფილ სახაზინო მიწებიდან და საიჯარო მამულებიდან, 2) სახელმწიფო საფონდო მიწებიდან და 3) საზაფხულო და საზამთრო საძოვრებიდან.

შენიშვნა: იმ შემოსავლიდან, რომელიც შეტანილ იქნება ქირნახულით, ერობებს მიეცემა ქირნახულის სათანადო პროცენტი.

II. პირველ მუხლის ძალით გადარიცხულ თანხით, გარდა საძოვარ ადგილების შემოსავლისა, რომელსაც აქვს სპეციალური ქვემოთ აღნიშნული დანიშნულება, ერობებს აქვს უფლება ისარგებლონ საერთო საჭიროებისთვის; საძოვარ ადგილების შემოსავალი უნდა მოხმარდეს საქონლის ავადმყოფობასთან ბრძოლას, საბეითლო დახმარებას, საქონლის მიმოსვლისათვის გზების გაუმჯობესებას, ხიდების შეკეთებას და სხვა საქონლის მოშენებას და მეურნეობასთან დაკავშირებულ საჭიროებას.

III. პირველ მუხლის ძალით ერობათა სასარგებლოთ გადასარიცხავი თანხა ყოველწლიურად შეტანილ უნდა იქნეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვაში.

IV. საბიუჯეტო წლის დამთავრების არა უგვიანეს 2 თვისა მიწათ-მოქმედების სამინისტრო ვალდებულია ყოველ ერობისათვის ცალკე აღრიცხვა შეადგინოს და გაუსწოროს მათ ანგარიში.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში

კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება ხსნის სახალხო გვარდიის ყველა მუდმივ არსებულ ნაწილში ელემენტარულ ცოდნის და წერა-კითხვის გამავრცელებელ სკოლებს. განზრახულია თფილისში 4 ასეთი სკოლა გაიხსნას. ხუთი სკოლა გაიხსნება ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთისა და სხვა რაიონებში. გარდა ამისა, ამ დღეებში მოეწყობა თფილისში განსაკუთრებული სცენა-კლუბები. ამავე დღეებში დასრულდება 7 კლუბის მოწყობა პროვინციებში.

დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება დაღუპულ ჯარისკაცთა ბავშვების აღზრდას და აგრეთვე იმ გვარდიელთა ბავშვების აღზრდას, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამავე დროს განყოფილება აწარმოებს ფართო აგიტაციო მუშაობას სოფლებში. განყოფილება გზავნის ცენტრიდან სოფლებში აგიტატორებს, რომელთა მოვალეობას შეადგენს არსებულ მდგომარეობის ახსნა-განმარტებას. ამავე მიზნით გამოყენებული იქნება ყველა ადგილობრივათ მცხოვრები ინტელიგენტური ძალა. ამ საქმეში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ერობათა თვითმართველობანი, პარტიული ორგანიზაციები და სხ. და ბოლოს განყოფილება აწარმოებს განსაკუთრებულ სამხედრო ეპიზოდების სტატისტიკას, რის გამოც გვარდიის მუდმივ ნაწილებში დაგზავნილია ცირკულიარები წინადადებით, რომ მას შეატყობინონ გვარდიის სამხედრო მოქმედებანი, ცალკე ჯარის კაცთა თავდადებანი, გვარდიელთა გარდაცვალება და სხ.

განყოფილების მიერ შედგენილი ანგარიში თფილისში მის მოღვაწეობის შესახებ. ანგარიშში აღნიშნულია სხვათა შორის გვარდიელებისა და ჯარისკაცთათვის ოპერების დადგმა, რომელსაც დაესწრებია 12,000 სული. გარდა ამისა, მოწყობილი იყო 12 დრამატიული წარმოდგენა. განყოფილებამ მოაწესრიგა მოძრავი დრამატიული დასი, რომელმაც გამართა რიგი წარმოდგენებისა რესპუბლიკის სამხრეთ დასავლეთის რაიონებში. გარდა ამისა, მოწყობილი იყო პოლიტიკური შინაარსის ლექციები, რეფერატები და სხ.

კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება იღებს ყოველგვარ ზომებს მიაწოდოს ფრონტს ლიტერატურა. ამავე დროს იღებს კინემატოგრაფიულ სურათებს ჯარის ცხოვრებიდან, სამხედრო მოქმედებიდან და სხ. (სდს).

უცხოეთი

სომხეთი.

ქურთების თავდასხმა. სომხეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: 26 მაისს ლალოგლიდან ქურთები თავს დაესხნენ სომხეთის სოფლებს. მილიციონერები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ; მაგრამ მალე გამაგრდენ და დაუწყეს სროლა შემოსეულებს. 27 მაისს კვლავ ასტყდა სროლა ქურთებსა და მილიციონერების შორის. ქურთებს მიზნათ აქვთ დასახული დაიკავონ სადგური სელიმი. მიღებულია ზომები თავდამსხმელთა გასარეკათ. 26 მაისსავე ქურთები შემოიჭრნენ კარაკურტის მიმართულებით, მაგრამ ისინი გარეკილ იქნენ; დასტოვეს ბევრი დაჭრილ-დახოცილები. სომხების მხრივ მოკლულია 8, დაჭრილია 14 ჯარისკაცი და 1 ოფიცერი.

სეტყვა. მაისის ბოლო რიცხვებში ამტარაკში მოვიდა დიდი სეტყვა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ბაღებსა და ბოსტნეულობას.

საფრანგეთი.

ალბერტ ტომა საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულების შესახებ. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ალბერტ ტომამ განაცხადა: შრომის საერთაშორისო ბიურო წარმოადგენს ავტონომიურ დაწესებულებას, რომელიც დაიცავს მუშების ინტერესებს მიუხედავათ იმისა, შედის ესა თუ ის სახელმწიფო ხალხთა ლიგაში. ამ მოსაზრებით საერთაშორისო ბიურო დაიცავს გერმანელ მუშების ინტერესებსაც ისე, როგორც სხვა ქვეყნის ინტერესებს. გერმანელ მუშებს, რომლებიც საფრანგეთის პროვინციების აღდგენაზე მუშაობდენ, სრული უფლება აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ბიუროს მფარველობით. გერმანია-საფრანგეთის დამოკიდებულების შესახებ მოლაპარაკებაში ტომა ოპტომისტურათაა განწყობილი; ტომას სწამს, რომ მალე მოეწყობა ამ ორ სახელმწიფოს შორის ერთსულოვანი ეკონომიური თანამშრომლობა.

გერმანია.

რეიხსტაგის არჩევნები. გერმანიაში რეიხსტაგის არჩევნები დანიშნულია 6 ივნისისათვის. სწარმოებს ფართო საარჩევნო კამპანია.

ინგლისი.

მოლაპარაკება კრასინთან. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით ინგლისი უმალ, ვიდრე საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება დაიწყებოდეს სხვადასხვა საკითხების შესახებ, მოითხოვს განთავისუფლებულ იქნეს რუსეთში მყოფი ინგლისელი ტყვეები. კრასინმა ჩამოუთვალა ინგლისის მინისტრებს საქონელი, რაც რუსეთს ესაჭიროება და ის, რის მიცემაც საბჭოთა რუსეთს შეუძლია ინგლისისათვის. როგორც ამბობენ, ინგლისის მთავრობას თხოვნით მიუმართავს მოკავშირე სახელმწიფოთა მინისტრებისათვის, რათა მათაც მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებაში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებთან. მილიერანი წინააღმდეგია ასეთი წინადადების; იგი გადაჭრით უარყოფს საბჭოთა მთავრობასთან დაახლოვებას, რა მიზნითაც არ უნდა იყოს იგი.

ინგლისის პოლიტიკა პალესტინაში. ვინაიდან ინგლისმა მიიღო მანდატი პალესტინაზე,—ამიერიდან პალესტინაში საოკუპაციო რეჟიმი სამოქალაქო მმართველობით იქნება შეცვლილი. ხერბოლსმა ინგლისის პოლიტიკა შემდეგნაირად დაასურათა: ბრიტანიის ადმინისტრაცია იხელმძღვანელებს ხალხის კეთილდღეობის ინტერესებით. ემიგრაცია შემცირებული იქნება, რამდენათაც ამას საქმის მდგომარეობა მოითხოვს. უმაღლესი ძალა უფლება ახალ სახელმწიფოში ჩაბარდება უმაღლეს კომისარს, რომელთანაც მოეწყობა განსაკუთრებული საბჭო. ბრიტანეთის მთავრობა ხელს შეუწყობს ხალხის წარმომადგენლობის მოწყობას, მაგრამ არას დროს არ დაუშვებს რათა უმცირესობა გაბატონდეს უმრავლესობაზე. საერთოდ პალესტინაში სიწყნარეა, თუმცა უკანასკნელ ხანებში არაბები თავიანთ ძალებს მრავლად აგროვებენ მდ. იორდანეს ნაპირებზე.

ფინლიანდია.

მოლაპარაკება რუსეთთან და ნორვეგია. გაზეთი „ნოვაია ციურიხ. გაზ.“ იტყობინება: ოფიციალურ ფინურ ცნობების თანახმად ფინლიანდიასა და საბჭოთა რუსეთს შორის მოლაპარაკება შეწყდა იმიტომ, რომ ორივე მხარე მტკიცეთ სდგანან თავიანთ მოთხოვნილებებზე და სრულიადაც არა აქვთ სურვილი ერთი მეორეს რაიმე დაუთმონ. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა, რათა მოხსნილი ყოფილიყო ფინეთის ყურეს ბლოკადა; ფინლიანდიამ შეასრულა ეს მოთხოვნილება, რამდენათაც შესაძლებელი იყო, მაგრამ მოსკოვის მთავრობა ამან არ დააკმაყოფილა. ფინლიანდიის პრესა დიდ მღელვარებაშია იმის გამო, რომ ნორვეგიას სურვილი განუცხადებია ჩაერიოს რუსეთ-ფინლიანდიის მოლაპარაკებაში. ოფიციალურ ცნობების თანახმად ნორვეგიის მთავრობას თხოვნით მიუმართავს ჩიჩერინისათვის, რათა ნორვეგიის წარმომადგენელი დაშვებულ იქნეს რუსეთ-ფინლიანდიის საზავო მოლაპარაკების დროს, როგორც ერთ-ერთი მონაწილე.

თეატრი და ხელოვნება

ახალი ქართული დრამატიული დასი მუშათა ცენტრალურ კლუბისა პროფესიონალურ კავშირების [illegible]ლურ კლუბთან ამავე კლუბის გამგეობის ინიციატივით და არტისტ ი. ზარდალიშვილის უახლოესი ხელმძღვანელობით დაარსდა გამოცდილ სცენის მოყვარეებისაგან შემდგარი ქართული დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურათ გამართავს მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 123.) ქართულ წარმოდგენებს. წრის ხელმძღვანელათ და კლუბის სამხატვრო-დრამატიულ ნაწილის ინსტრუქტორათ მოწვეულია არტისტი ი. ზარდალიშვილი, რომელიც აღჭურვილია ფართო უფლებებით სცენის საკითხებში. არტისტ ზარდალიშვილმა უკვე შეადგინა ქართული დრამატიული წრე, რომლის მიერ შაბათს, 5 ივნისს არტისტ ზარდალიშვილის, შოთაძის, ნინო გამრეკელი - თორელის და სხვების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ს. შანტურიშვილის ცნობილი პიესა: „ბერუსი“. კლუბის გამგეობა იმედოვნებს, რომ მისი ცდა სერიოზული ქართული დრამატიულ წრის შექმნის საქმეში ჰპოვებს სათანადო გამოძახილს ტფილისის მოწინავე მუშათა შორის და ამხანაგი მუშები თავიანთი დასწრებით ობიექტიურ კრიტიკის თვალსაზრისით გასჯიან წრის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებს, რასაც კლუბის გამგეობა დიდის ყურადღებით მოისმენს და შესაფერ ანგარიშსაც გაუწევს.

კლუბის გამგეობა.

ნეკროლოგი.

ამხანაგი ვასია მაქსიმოვი.

მოჰკლეს!

იგი იყო საქართველოს რევოლიუციის გმირი! თავდადებული მებრძოლი ჩვენის რესპუბლიკის გასამტკიცებლათ, ივერიის კალთებზე აღზრდილი, მის ბუნების ძლიერებით დავაჟკაცებული.

იგი იყო ჩამომავლობით რუსი, საქართველოში შობილი, საყვარელი შვილი ბორჯომის დაბურულ ხეობისა! იგი იყო პატიოსნებით სავსე, სინდის შეუბღალავი, მართალი და სპეტაკი, როგორც ბროლი!

ის იყო ვასია მაქსიმოვი! ღირსეული შვილი ხალხისა, ხალხის ოჯახიდან გამოსული და მის კეთილდღეობისთვის თავდადებული!

გვარდიელების ოფიცერი იყო ჩვენი ამხანაგი! ძმა!

მებრძოლი იყო: დაეცა ბრძოლის ველზე!

იგი მსოფლიო ომის პირველ დღეებიდან გადასროლილი რუსეთის ფრონტზე, როგორც ჯარისკაცი დაბრუნდა რევოლიუციის დასაწყისში ოფიცრის „ჩინით“. მოსვლის უმალ იგი, როგორც საუკეთესო წარსულის მქონე, მოწვეულ იქმნა ბორჯომის რაიონის სახალხო გვარდიის რაზმის ინსტრუქტორათ.

ჩვენი „ვასია“ იმ დღიდან შეიქმნა თავდადებული ოფიცერი ბორჯომის გვარდიისა.

თავგანწირულებით მალე მოიხვეჭა უშიშარ მეომრის და სანდო პიროვნების სახელი.

ვასო გვარდიელების საყვარელი ამხანაგი იყო, რომელთაც დღე და ღამ არ შორდებოდა განთავისუფლების ჟამს.

მაქსიმოვმა ბორჯომის გვარდიასთან ერთათ თავისთავზე გადაიტანა ყველა გამოსვლები და ომები საქართველოში საიდანაც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

ვასია მაქსიმოვს დამარცხება არ ახსოვს ყველა მოწინავე ამხანაგები იცნობდნენ მას, იცოდნენ მისი თავდადებული ერთგულება და გმირობა! როგორც იშვიათი ამხანაგი, აღჭურვეს მეტის ნდობით ჩამოაცალეს ბორჯომის გვარდიას და ჩააბარეს მეტი საპასუხისმგებლო ადგილი. ახალციხის მაზრის გვარდიის ბათალიონის უფროსობა.

არა. ხუთი და ათი გირვანქა დასაფქვავათ არ ღირს, ხალხი ხალავს ან ხარშავს და ასე აჭმევს ბავშვებს, დიდები კი ზოგი ტყემლით, ზოგი ეკალათი იკვებება, ზოგიც სამი-ოთხი დღე მშიერია.

ფუთი სიმინდი ოთხმოცი და ასი თუმანია, ზოგან ასოც თუმნათაც გაყიდულა. თერგის ოლქი თოვლისაგან შეკრულია და ფეხით თუ ვინმე მოახერხებს ხანდახან გადასვლას, ზურგით ორ ფუთზე მეტს ვერ მოერევა და ორი ფუთი სიმინდისათვის უნდა დაჰკარგოს მთელი კვირა იქით და აქეთ.

თუ მამისონის გზა მალე არ გაიხსნა და მთავრობამ არ მიღო ყოველივე ღონე, რომ იქიდან რაჭაში სიმინდი გადმოვიდეს, რაჭის მდგომარეობა და განსაკუთრებით ზემო რაჭისა მეტათ საშინელია. შიმშილი და მისგან გამოწვეული სხვადასხვა სნეულება ხალხს მუსრს გაავლებს.

შიმშილის ნიადაგზე იქ ფეხს მოიკიდებს ჩვენი დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო აგიტაცია, რასაც ახლაც აქვს ადგილი.

ნიკორწმინდის რაიონში ბოლშევიზმი ძლიერია და ხალხში მას გასავალი აქვს. იქაური ბოლშევიზმი უფრო რუსეთისკენ იყურება და დამოუკიდებელი საქართველო, თუნდაც ბოლშევიკური, მას არა სწამს. შიმშილი კი ხელს უწყობს იქ რუსული ბოლშევიზმის გავრცელებას.

უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ რაჭას რუსეთი არჩენდა სიმინდით და ამიტომ რაჭის დამშევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. რაჭას უნდა დაუმტკიცოთ, რომ დამოუკიდებელ საქართველოშიაც შესაძლებელია მისი გამოკვება.

რაჭის შიმშილი ჩვენი უდიდესი მტერია, და თუ სხვა ფრონტზე არ ვერიდებით არავითარ მსხვერპლსა და ხარჯს, ამ შიმშილის ფრონტსაც ასე უნდა მოვექცეთ.

სასწრაფოდ უნდა მოხდეს განკარგულება, რომ რაჭველს თავისი ოჯახის საჭიროებისათვის თავისივე ერობის მოწმობით თავისუფლათ და დაუბრკოლებლათ შეეძლოს სიმინდის შეძენა ყველგან რესპუბლიკის საზღვრებში.

ყოფილა მაგალითები, როდესაც ღებიდან გადასულან თერგის ოლქში და ბოლშევიკებში ჩაწერილან სიმინდის გულისათვის ისეთი პირები, რომლებსაც ბოლშევიკებთან არაფერი აქვთ საერთო გაჭირვებულ ადამიანს შიმშილი ბევრ რამეს აფიქრებინებს და ჩაადენინებს კიდეც!

რაჭველი ხალხი დინჯი, აუჩქარებელი დარბაისელი და ზრდილობიანია. რაჭველი და ლეჩხუმელი ხასიათითა და გარეგნობით ერთმანეთს წააგავს.

ლეჩხუმელივით რაჭველი სტუმართმოყვარე და გულუხვია! პატივისცემა მათ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი.

რაჭას აქვს ორიგინალური სიმღერები, უმთავრესათ საომარი შინაარსისა.

ხშირათ სიმღერა და ცეკვა ერთად არის შეერთებული.

ამ მხრივ ლამაზია რაჭული ფერხული; აქ სიმღერას ზედ ერთვის ტანის მწყობრი რხევა და ფეხების მწყობრათ ამოძრავება. სიმღერა და მოძრაობა იწყება ნელ-ნელა, დინჯათ და თანდათან ძლიერდება. საერთო სიმღერა ფერხულს საერთო აღფრთოვანება აქვს მიზნათ, საერთო ნების განმტკიცება, გულის გამაგრება და საერთო გმირობა.

ფერხულის დროს მღერიან სხვადასხვა ლექსს. ერთი მათგანია:

მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი,
თეთრი ფრთიანი, ბოლო წითელი.
ძღლელს ჩამოდგა ოსი და დვალი,
სულ ამ დვალეთი ფაიქომელი.
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა გამთენიასა
ფერვა ფარისა, ქნევა ხმალისა,
ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა.
შუბის ნალეწი ზეცას ცვიოდა,
მესამე დღესა ჩამოცვიოდა.
ხმალი ორპირი სისხლში სცურავდა,
ჯაფარ გეიქცა, დვალი მისდევდა.
ჯაფარ ვერ წახვალ შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან ლაშქრის ამბავსა.
ჩვენი რაიქნენ მოწიფულები?
უკან მოდიან დალალულები.
ქვერა მოაქვთ ყვე?
თავი გოდრითა, ტანი ლაშქრითა,
წვრილი წელები ხელკალათითა.

მოხუცებულები გაცილებით უკეთ მღერიან ძველ სიმღერებს, ვიდრე ახალ გაზრდობა.

მოხუცებულები რომ ფერხულში ჩადგებიან და სიმღერას დაიწყებენ, თქვენი თვალისწინ ისინი თანდათან იცვლებიან და მათ მოძრაობაში თანდათან ახალგაზრდული სული მეფდება.

გავრცელებულია რაჭაში სუფრის სიმღერა: დალიე, დამალევინე, დაალიე, დაალიე.

ძველებური სიმღერები აქ უმთავრესათ ორპირია.

თუმცა რაჭაც ლეჩხუმივით მთებშია ჩაკეტილი და თითქოს ეს კუთხე მოსვენებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოყვანილი ლექსიც ამტკიცებს, რომ რაჭას სხვადასხვა მტერი მოსვენებას არ აძლევდა.

ამას სხვათა შორის რაჭის ლამაზი ციხეებიც მოწმობენ. ზოგან ციხე ისეთ ლამაზ ადგილას არის აგებული, რომ არ გინდა თვალი მოაშორო.

რაჭის სოფლები ლეჩხუმის სოფლებისაგან არ განირჩევა. მოსახლეობა უბანუბნათ, ზოგან კი უფრო გაფანტული.

სულ სხვა არის რაჭის მთიულეთი. რაჭის მთიულეთი მამისონის კალთის ძირშია და შესდგება სამი სოფლისაგან; ესენია გლოლა, ჭიორა და ღები. გლოლაში სამოცი კომლია, ჭიორაში 180, ღებში 400.

ჭიორასა და ღებს განსაკუთრებული სახე აქვთ. ესენი არიან გაშენებული რიონის მარცხენა ნაპირას მაღლობზე და გარეშემო მაღალი მთები აკრავთ, ჯერ კიდევ თოვლით დახურული.

საღამოს ჟამს, როდესაც დედამიწიდან ნისლი წამოიშლება და თოვლიან მთებს სარტყლათ შემოეხვევა, თვალწინ მეტათ ლამაზი სურათი იშლება.

ჭიორა და ღები შორიდან პატარა ქალაქს მოგაგონებთ. ორ-სამ სართულიანი ქვის სახლები ერთი-მეორეზე არის მიდგმული და მთელი სოფელი ვიწრო გზებით არის დაყოფილი უბნებათ.

სოფლებში ნახავთ ძველებურ კოშკებს, თვითეული კოშკი რამოდენიმე სართულისაგან შესდგება და აქ მთელი ოჯახი იფარავდა თავს მტრის შემოსვლის დროს.

სახნავ-სათესი ადგილი მეტად ცოტაა და ისიც რიონს წაუღია.

რიონის დასამორჩილებლათ ჭიორლებს უზომო შრომა გაუწევიათ და რამოდენიმე ალაგას დიდ მანძილზე ტივის ხეებით ჯებირები გაუკეთებიათ, მაგრამ აქ რიონი მეტათ გიჟია და ყოველგვარ ზღუდეს ადვილათ ანადგურებს.

ოჯახი აქაურ სოფელში დიდია, ბევრჯერ 20—30 სულისაგან შესდგება.

რაც უნდა კარგი წელიწადი იყოს, ორი-სამი თვის სარჩო არ მოუვათ. აქ უმთავრესათ ქერი მოდის.

სიმინდს ეზიდებოდნენ წინედ თერგის ოლქიდან. დღეს ბოლშევიკებთან ომის შემდეგ სიმინდი ვეღარ გადმოაქვთ და მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. ღები, ჭიორა და გლოლა განსაკუთრებით არიან დამშეული და სასწრაფო დახმარებაა საჭირო.

დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომა, რომ თერგის ოლქიდან შეეძლოთ მათ სიმინდის გადმოტანა. ჭიორაში არიან ჩაგელიშვილები, გოგბეჭიშვილები, უმრავლესობა კი რეხვიაშვილია.

ღებში არიან გოგრიჭიანები, გავაშელიშვილები, გობეჭიშვილები და ლობჟანიძეები.

უწინდელს დროში ამათაც კი გასჩენიათ აქ მებატონე არეშიძეები, მაგრამ რუსეთის შემოსვლამდე ამოუწყვეტიათ ისინი ღებელებს.

ჭიორა-ღებელები ლამაზი ხალხია, გამრჯელი და შრომის მოყვარე. ქალები აქ მამაკაცებზე ნაკლებათ არ მუშაობენ.

საერთოდ ქალები აქ ლამაზები არიან, მაგრამ ზედმეტი შრომა და თან შვილოსნობა მათ მალე სტეხავს.

მთის ხალხი ასე დინჯი, ზრდილობიანი, დარბაისელი და შესმენილი ძვირად მინახავს.

ყოველ სიტყვას პირდაპირ ყლაპავდენ და თავის გაჭირვებას დალაგებულათ მოგვითხრობდენ.

ორ სამწუხარო შემთხვევას ჰქონია აქ ადგილი. ამ ორი წლის წინეთ—სვანებს გაურეკიათ ღებელების 205 სული ხარი, 50 ცხვარი და 3 ცხენი. დღესაც ღებელები მთავრობას შეჩივიან: გვიშველეთ და აიძულებს სვანებს, ჩვენი საქონელი დაგვიბრუნონო.

მართლაც, ასეთ ძარცვა-რბევას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო.

ჩვენმა მთავრობამ ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხეს უნდა დაანახოს თავისი ძალა.

ამ წლის თებერვალში ჭიორლებს გამოუგზავნიათ თფილისში ორი წარმომადგენელი გრიგოლ და ქიტა რეხვიაშვილები გადასახლების მოსაწყობათ. ჩვენ მივმართეთ გადასახლების მომწყობ კომიტეტში ბ. მარუაშვილსო, გადმოგვეცეს მათ. აქედან ისინი გაუგზავნიათ ბორჩალოში. დაუთვალიერებიათ, აურჩევიათ ადგილი და უთხოვიათ შემდეგ ნებართვა 75 გლეხის გადასახლებისა ჭიორიდან ბორჩალოში. კომიტეტს ნება დაურთავს და უკანასკნელ ვადათ დაუნიშნავს 20 მარტი. 75 გლეხი ჭიორაში აყრილა, გაუყიდია ყოველისფერი და თხუთმეტ მარტს ჩამოსულა, რომ ბორჩალოს მაზრაში დასახლებულიყო. მაგრამ კომიტეტმა უარი გვითხრა: სხვები დასახლდენ და უკან მიბრძანდითო.

რას იზამდენ. გაბრუნდენ ეს საწყლები უკან და დღეს მათ ისევ სოფელი ინახავს.

აუცილებლათ საჭიროა, რომ ეს საქმე იქნეს გამოძიებული და გადავასახლოთ ჭიორა-ღებიდან მსურველები შესაფერ ადგილას, რადგანაც ისინი რაჭაში მიწის აუწერელ სივიწროვეს განიცდიან.

ყოველი სტუმარი ღებსა და ჭიორაში ღვთის კაცია და მას ყველა შეჰხარის. მიღება საუცხოვო იციან, პატივისცემა უზომო, სიტყვა პასუხი თავაზიანი, ზრდილობიანი.

სტუმრისათვის არაფერი არა შურთ და ხვეწნა მუდარითაც არ შეგაწუხებენ.

ამ მივარდნილ კუთხეში, მუდამ თოვლით გაპოხილი მთების კალთებზე მცხოვრებ ხალხს ერთობ მალე შეუგნია მნიშვნელობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა და საკუთარ მთავრობას სრულის ნდობით ეპყრობიან.

საერთოდ მთელი რაჭა-ლეჩხუმი ამ მხრივ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. დამოუკიდებლობისა და საკუთარი სახელმწიფოს მნიშვნელობა ხალხს საერთოდ უკვე შეუთვისებია და ის ერთგული დარაჯი იქნება ჩვენი თავისუფლებისა.

ხოლო ჯერ ბევრი რამ არის სოფლად მოუწყობელი და დაჩქარებაა საჭირო.

ბევრგან უჭირს ხალხს და მთავრობისაგან ელის შეელასა და დახმარებას. თავისი შინაური ადგილობრივი გაჭირვების დროს ხალხი უნდა ჰხედავდეს თავის მთავრობას.

სამართლის საქმეს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. აშკარა მექრთამეებს, ქურდებს, ყაჩაღებს თავდებით ანთავისუფლებენ და ეს საშინელ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. რაჭა-ლეჩხუმში მიწის აუტანელი სივიწროვეა; ხალხს აღარა აქვს გასანძრევი ადგილი.

გადასახლების მსურველი ბევრია. ა საქმეს უნდა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება.

გადასახლების რიგიანათ მოწყობა უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი საქმეა და დღემდის მას შესაფერი ყურადღება არა აქვს მიქცეული.

რაჭველები და ლეჩხუმელები მეტად მშრომელი, დაუღალავი, პატიოსანი, გამრჯელი და სამშობლოს ერთგული ხალხია და ყოველგვარი ყურადღებისა და დახმარების ღირსნი არიან.

ივ. გომართელი.

იგი მოშორდა ამ ორი თვის წინათ თავის საყვარელ ბორჯომელებს და შეუერთდა ახალ ძმებს, ახალ ამხანაგებს ახალციხის გვარდიელებს, რომლებთანაც ბრძოლაში დაეცა იგი, მტრის ტყვიით განგმირული პირველ ივნისს, 1920 წელს დანის-ფარეულის მიდამოებში აჭარის გადასავალზე.

საღამოს ჟამზე ახალგაზრდა ნაცნობ ქალის მწუხარე ხმამ ტელეფონით გადმოგვცა ბორჯომის ამხ. „ჩვენი ვასია მოუკლავთო“.

ყურში განუწყვეტლივ ისმოდა იდუმალი მწუხარე მძიმე ხმა: „ვასია მოჰკლეს“, „ვასია მოჰკლეს“.

მეორე დღეს დაადასტურა ეს ორი სიტყვა კაეშანმა შემოჰჯარნა ყველას გული დადგა გლოვის ჟამი!

იგლოვეთ ამხანაგებო! დავკარგეთ უძვირფასესი ამხანაგი!

დავკარგეთ ვასია მაქსიმოვი!
მშვიდობით ვასია, მშვიდობით!

შენი ძმა **შაქრო ნაცვლიშვილი.**

ფრონტისათვის

ზემო გომი. (ქართლი) მაისის 20-დან გომის თემის გამგეობასთან არსებობს ფრონტის დამხმარე კომიტეტი, რომელშიაც შედიან თითო წარმომადგენელი: თემის გამგეობიდან, კოოპერატივთა კავშირიდან და ადმინისტრაციიდან.

კომიტეტს მოვალეობაა შეაგროვოს რაიონში შეწირულებანი ფრონტზე წასული ამხანაგების სასარგებლოდ და დაეხმაროს სოფლის საშუალებით იმ ჯარისკაცების და გვარდიელების ოჯახებს, რომლებიც გაწვეულნი არიან მობილიზაციის წესით და მათი ოჯახები, ნახნავნათესი, მიტოვებულია.

კომიტეტი დღიდან მისი დაარსებისა შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას და უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლაც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. რამდენიმე ადგილას უკვე პირველ რიგში გაითოხნა გვარდიელების და ჯარისკაცების სიმინდები და ამრიგად ითოხნება სხვებიც. აგრეთვე კომიტეტი ელის განკარგულებას, რომ ფრონტისთვის შეწირულების სახით შეგროვილი ჰირნახულიდან გვარდიელების და ჯარის კაცების ჰირნახულ ნაკლებ ოჯახებს მიაწოდოს ნაწილი და ამრიგად, შეუმსუბუქოს მათ მდგომარეობა.

გომის კოოპერატივთა კავშირმა თავისი ბელლიდან რამდენიმე ჰირნახულ ნაკლებ გვარდიელის და ჯარისკაცის ოჯახი დააკმაყოფილა.

აგრეთვე აღსანიშნავია ამ დიად საქმეში თავგამოდებით მუშაობა გომის თემის მილიციისა.

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საქართველოს ხალხი შინ და გარეთ გაერთიანებული ძალით იბრძვის თავისი დამოუკიდებლობის უზრუნველ საყოფად.

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს დაუღალავ მებრძოლთ!

გაუმარჯოს გაერთიანებულ ფრონტს და ზურგს!

სარდალი.

თფ. აფთიაქებში მომუშავეთა პროფ. კავშირში

ჩვენებურ „კომუნისტებს“ რომ დემოკრატიის ღალატში და ზურგში მახვილის ჩაცემაში ბადალი არა ყავთ, ეს, ვფიქრობთ, არავისთვის სადავო არ არის, ვისაც კი თვალები განზრახ არ აუხვევია, მაგრამ თუ ამდენ თავხედობას გამოიჩენდენ და ისიც მას შემდეგ, რაც რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან საქართველოს დემოკრატიამ ზავი შეკრა, ბევრ გულუბრყვილო მოქალაქეს მანც არ ეგონა. არ ეგონათ მით უმეტეს, რომ, ისე, როგორც რუსეთის ხელმძღვანელებმა, იცნეს დამოუკიდებელი საქართველო, მათაც აქ აღიარეს ეს დამოუკიდებლობა და გადავიდნენ ვითომ ლეგალურ ოპოზიციის წარმოებაზე. მაგრამ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“ სწორედ მათზე ითქმის.

დღეს, როდესაც მთელი საქართველოს დემოკრატია იარაღით ხელში იცავს თავის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვარ თავისუფლებებს, იმ დამოუკიდებლობას, რომელიც მათაც სულ რამოდენიმე დღეა აშკარათ აღიარეს, ამ დროს ისინი მახვილს უმზადებენ ზურგში ჩასაცემათ ფრონტებზე მდგომ მეომარ გმირებს. ის ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ საქართველოს შეუძლია თავის დამოუკიდებლობის შენარჩუნება მხოლოდ მაშინ, თუ ფრონტი და ზურგი ერთნაირი თავგანწირვით არის გამსჭვალული, რომ თუ ზურგი არ უზრუნველყოფს მორალურათ და მატერიალურათ ფრონტს, რაც უნდა გმირები იდგნენ საზღვარზე, საქმე მაინც წაგებულია. მათაც კარგათ ესმით. მაგრამ, მაგარი სწორედ ის არის, რომ მათ აინტერესებთ არა ის, რის პირობაც გუშინ დასდვეს, არამედ ღალატი, დაეცეს საქართველოს დემოკრატია უთანასწორო ბრძოლაში და ხელოვნურათ გაწითლებულ აღერბეიჯანის დროშა აფრიალდეს თფილისში.

ამის დასამტკიცებელი საბუთიც. 30 მაისს მოხდა კრება თფილისის აფთიაქებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრებისა. დღიურ წესრიგში იყო უმთავრეს საკითხათ ფრონტის დღის მოწყობა. ეს კითხვა ჯერ კავშირის გამგეობაში იყო დასმული, მაგრამ კომუნისტების წყალობით დადებითად გადაჭრა ვერ მოხერხდა. ჯერ გამგეობის კრებაზე დასვეს რესპუბლიკის მთავრობა აღერბეიჯანის მიმართ აგრესიულ-იმპერიალისტურ პოლიტიკის წარმოებისთვის. კვირას კი განაცხადეს, რომ ჩვენ ფრონტს მხარს ვუჭერთ, მაგრამ წევრთა მატერიალური სივიწროვის გამო ფულის გამოღებას სავალდებულოთ ვერ მივიღებთო. მათზე ვერ იმოქმედა ჩვენმა და სოც.-ფედერალისტების მტკიცებამ, რომ აქ არაფერ შუაშია უსახსრობა, შეიძლება სულ მცირე გადასახადის დაწესება, რომ აქ ჩვენს დახმარებას უფრო მორალური მნიშვნელობა ექნება, რის წინააღმდეგიც, თქვენის განცხადებით, არც თქვენ ხართო.

მაგრამ არაფერმა არ გასჭრა და კენჭის ყრით სავალდებულოთ ფულის გადადება უარყვეს. როდესაც მათ მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციაში ვერ დავინახეთ მორალურათ მაინც ფრონტის მხარის დაჭერა, ჩვენ და სოც.-ფედერალისტემა მოვითხოვეთ ამის ოქმში შეტანა. აქ მათ სიტყვა ბანზე ააგდეს და არ მოისურვეს რეზოლიუციაში შეტანა. მიზეზათ ის მოიყვანეს, რომ ეს საკითხი არ ყოფილა დღიურ წესრიგშიო. მაშინ ჩვენ მოვითხოვეთ ამ საკითხის ცალკე წესრიგში შეტანა, მაგრამ იმავე კენჭის ყრით უარყვეს. ამის შემდეგ ჩვენ და სოც.-ფედერალისტებმა დავტოვეთ კრება დემონსტრატიულათ.

ასე ესმით ჩვენებურ ბოლშევიკებს დამოუკიდებლობის დაცვა და სიტყვის ასრულებაც. არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა. ეს კარგათ შეიგნო საქართველოს დემოკრატიამ და აფასებს კიდევაც მათ მოღვაწეობას ჩვენში არა მათი სიტყვების მიხედვით, არამედ — საქმით. ეს საქმე კი მარტო ღალატზე ღაღადებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელ ომიანობის დროს მაინც, ასეთ მოღალატეებს თავისი ადგილი უნდა ეჩვენოს, დეე ისინი გახდენ აშკარა თავდამსხმელები, — ეს გვირჩევნია, ვიდრე ჩვენში მათი გველური საქმიანობა. ამ კრების შესახებ ინი „სახალხო საქმეში“ სამართლიანათ აღშფოთებულა კომუნისტების საქციელით, მაგრამ არ შემიძლია არ შევეკითხო, ვისი ხმებით სხედან ეს „კომუნისტები“ კავშირის გამგეობაში? დარწმუნებული ვარ, მან კარგათ იცის, რომ კომუნისტები გამგეობაში სხედან სოც.-ფედერალისტების ხმებით და რათ ღელავს ასე, — გასაოცარია. ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ მოწმე მათი შეუღლების და გათიშვის, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი იყო ყოველის. ვფიქრობთ, რომ კიდევ მალე ვიხილავთ მათ კომუნისტებთან ერთად. გაიხსენონ ამ კავშირის წარსულის კრებები თუ როგორ ოვაციებს უმართავდენ ბოლშევიკები მათ ორატორებს და განსაკუთრებით მძიმე არტილერიათ მათგან კრებაზე მოყვანილ თედო ღლონტს, აგრეთვე სოც.-ფედერალისტებისაგან საპასუხო ოვაციებს იღებდენ ხოლმე ბოლშევიკები. ყველა ამის შემდეგ დღეს სოც.-ფედერალისტების აღშფოთება მარტო მათ დაუფიქრებლობის, სიბეცის და უსუსურობის ბრალი უნდა იყვეს...

ძე.

ს. დ.-პარტიაში

თფილისი. 1 ივნისს შესდგა საქ. ს. დ. მ. პ. რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება; მოხსენება იმის შესახებ, რომ მთავრობის წევრები, მუნიციპალურ თვითმართველობათა და სახალხო გვარდიის შტაბის წევრები არჩეულ უნდა იქნენ თუ არა ხელმძღვანელ ორგანოებში — გააკეთა ამხ. ნოე რამიშვილმა, რომელმაც მრავალი საბუთებით დაამტკიცა ამის შესაძლებლობა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: პრინციპიალურათ დასაშვებია, რომ მთავრობის წევრებში, მუნიციპალურ თვითმართველობათა და სახალხო გვარდიის შტაბთა წევრები არჩეულ იქნენ ხელმძღვანელ ორგანოებში იმ აუცილებელი პირობით, რომ ისინი არ უნდა იღებდენ მონაწილეობას კენჭის ყრაში იმ კითხვების გადასაჭრელათ, რომელიც ეხება მათ მოღვაწეობას აღმასრულებელ ორგანოებში, რომლის წევრებათ ისინი ირიცხებიან, მაგრამ ამასთან ერთად კრებას არ მიაჩნია სასურველათ, რომ პარტიის ხელმძღვანელი ორგანიზაციის წევრები იმავე დროს იყვნენ სახელმწიფოს ხელმძღვანელ ორგანოების წევრებათაც, და პარტიამ უნდა იმეცადინოს, რომ ასეთი შეთავსება თანამდებობათა შეძლებისა და გვარათ აიცილოს თავიდან. დასასრულ მოხდა პარტ. ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები. არჩეულ იქნენ: ამხ. თავაძე, უსეინაშვილი, ი. გიორგობიანი, პ. მეფარიანი, ფ. ლორია.

თედ. ხუხუნაიშვილი.

მუშათა შორის

ბრძოლა ბოროტ-მოქმედებასთან.

საქართველოს მუშათა კლასი მწარე გამოცდილების შემდეგ დარწმუნდა, რომ ბონების მომატებით არ უმჯობესდება მისი ეკონომიური მდგომარეობა. პირიქით, ბონების მომატების აუცილებელი შედეგი არის მდგომარე პირობებში, — მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. ამიტომ საქართველოს მუშათა კლასმა აირჩია მეორე, მიზან-შეწონილი გზა, — ე. ი. შრომის ხელფასის ნატურალიზაცია. ამ მიზნით შეიქმნა სახელმწიფო ფონდი, საიდანაც მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ სურსათ-სანოვაგე იაფ ფასებში. ჩვენი, მუშების მოვალეობაა გაუფრთხილდეთ ამ ფონდს, გამოვიჩინოთ მომჭირნეობა. მუშა-მოსამსახურეთ იაფ ფასებში ეძლევათ სურსათ-სანოვაგე, ამით ზარალობს სახელმწიფო. მაგრამ სახელმწიფოს მესვეურებმა კარგათ იციან: ბონების საბეჭდავ მანქანების კვლავ ამუშავება ზარალთან შედარებით უდიდეს საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს. და ეს საფრთხე ხომ მუშათა კლასის საფრთხეც არის! ამიტომ სახელმწიფო ორ უბედურებაში ირჩევს ნაკლებ უბედურებას. როგორც ვთქვი, მუშები უნდა ვუფრთხილდებოდეთ სახელმწიფო ფონდს. მაგრამ ბოროტ-მოქმედებას აქვს ალაგი! სიებში შეტანილი არიან ისეთები, რომელთა მარჩენალი არ არის სიის წარმდგენი. უსინდისოებს სურსათი გამოაქვთ მკვდრებისთვის. ამაზედ მეტი ბოროტ-მოქმედება განა შეიძლება!?

ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშათა ორგანიზაციებმა! ეს არ კმარა. საჭიროა დიდი ყურადღება აქცევდეს თვითეული მუშა-მოქალაქე. მუშა, რომელსაც კარგათ აქვს გათვალისწინებული სახელმწიფოს ინტერესები, მუშა, რომლისთვისაც დიდი ფასი აქვს სინდის-პატიოსნებას, ზნეობას ასეთი მუშა ვერ დაფარავს ბოროტმოქმედებას, არც დაფარავს! მსწრაფლ უნდა ეცნობოს ყოველივე მუშათა მაგიდას!

უსინდისონი, ბოროტ-მომქმედნი უნდა დაისაჯონ დაუყონებლივ ალაგიდან დათხოვნით!

სიფხიზლე, მეთვალყურეობა ამხანაგებო! **რიხვა.**

ქ. სოხუმის პროფესიონალურ კავშირთა საერთო ყრილობამ, რომელიც შედგა 23 მაისს ამხ. ს. რამიშვილის თავმჯდომარეობით. მოისმინა რა ამხ. დ. ქ. ემუხვარის მოხსენება თანამედროვე მომენტზე, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გზა, არჩეული საქართველოს დემოკრატიის მიერ, არის ერთად ერთი სწორი გზა, რომელიც აკავშირებს მუშათა კლასს, ამაღლებს მას გონებრივად და ნიადაგს უმზადებს ობიექტიურ პირობებს ურომლისოდ შეუძლებელია ჩვენი საბოლოო მიზნის — სოციალიზმის განხორციელება. 2) იმ ანარქიისა და დარღვევის ხანაში, რომელსაც განიცდის კაცობრიობა, როგორც საერთაშორისო ომის შედეგებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არის ერთად ერთი მხარე, სადაც დაცულ იქნა რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი. 3) რომ საქართველოს დემოკრატიის ბელადების ბრძნულმა პოლიტიკამ აგვაცდინა რუსეთის პროლეტარიატსა და საქართველოს შორის შეიარაღებულ შეტაკებას და შესაძლებლად ჰყო განემტკიცებია ჩვენ შორის ძმური, კეთილ-მეზობლური განწყობილება, 4) რომ ძალა, რომელიც უკანასკნელ დროს თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიას, არის ძალა რეაქციონური, პანისლამისტური, ძალა ბარბაროსული აზიის, რომელიც ეყრდნობა ფანატიკურად განწყობილ მასსაზე, რომლის გამარჯვება მოასწავებდა საქართველოს დემოკრატიის ფიზიკურ განადგურებას, — სოხუმის პროფესიონალურ კავშირთა საერთო ყრილობა ესალმება საქართველოს უზენაეს ორგანო — დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას და ფიცს სდებს მხარი დაუჭიროს მათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დამოუკიდებლობის და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებაში“.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ ყრილობამ განიხილა ცენტრალური საბჭოს და საავადმყოფო კასის წლიური აჩოტი; ყრილობამ ცენტ. საბჭოსა და საავათმ. კასის პრეზიდიუმს მადლობა გამოუცხადა.

ყრილობა მრავალრიცხოვანი იყო. მუშები ბლომად დაესწრო, დიდი აღტაცება გამოიწვია მუშებში ამხ. ემუხვარის მოხსენებამ თანამედროვე მომენტზე, რომელმაც ვრცლად დაახასიათა დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და ხაზი გაუსვა ჩვენსა და რუსეთს შორის მომხდარ ზავს. **დიომიდე კოკაია.**

პროვინცია

ხმა სვანეთიდან. ბევრი თქმულა და დაწერილა სვანეთის უბედურებაზე, მაგრამ ის, რაც ხდება ამ ჟამად სვანეთში, პირდაპირ წარმოუდგენელია.

უგზო-უკვლობისა გამო, ქვეყანას მოწყვეტილი მხარე, არის მიტოვებული მარტო თავის ამარა. არ არის არც ადმინისტრაცია, როგორც ასეთი, არც სასამართლო, არც სწავლა-განათლება, არც სამკურნალო დახმარება და არც სხვა რაიმე ისეთი, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის საჭირო იყვეს.

გზებით ყოველთვის გაჭირვებული იყო სვანეთი, მაგრამ ეხლა მთლათ მოისპო, არ დარჩენილა დაუზიანებლათ არც ერთი ბილიკიც კი. წინეთ თუ ცხენით მოგზაურობა მაინც შესაძლებელი იყო, ეხლა ისიც შეუძლებელია და ცარიელ კაცსაც დიდათ გაუჭირდება მოგზაურობა, ამ ნაირათ, სვანეთი მოწყვეტილია ქვეყანას და რესპუბლიკის მაჯის ცემას იგი ვერა გრძნობს.

ხალხი ადგილობრივათ, დიდი და პატარა — ვისაც კი თოფის ტარება შეუძლია, თავიდან ფეხებამდე იარაღშია ჩამსხდარი. ყველას ვინტოვკა ჰკიდია, უთვალავი პატრონებით. როდესაც მუშა მიდის თავის ჩვეულებრივ სამუშაოზე — უსათუოთ თოფი და პატრონები ზედ უნდა ჰქონდეს. სწორეთ ამისი მიზეზია, რომ დღეს სვანეთში არ არის არც ერთი მოსახლე კაცი, რომ მას მტერი არა ჰყავდეს; თუ ვინმეს რაიმე ძველი მამა-პაპის დროული საქმე აქვს ვისმესთან გასასწორებელი, — ეხლა ასწორებს მას. შურისძიება და სისხლის აღება უმაღლეს წერტილამდე არის ასული. ცალკე პიროვნებებს გარდა, მთელი გვარეულობები (თემები) ერთი-ერთმანეთზეა გადაკიდებული სამტროდ, ერთი სოფელი მეორე სოფელს ემტერება და ერთმანეთს შორის ყოველივე საქმეს იარაღით სწყვეტენ. მცხოვრებლების უმრავლესობას უდგიათ ძველებური სიმაგრენი, 8—9 სართულიანი კოშკები და იქიდან ერთი-მეორეს ეომებიან.

კაცის კვლა ისე გახშირდა, როგორც არასოდეს. იყო მაგალითები, რომ ძმამ ძმა მოკლა. ცარცვა-გლეჯას ხომ საზღვარი და სათვალავი არა აქვს! ქურდობა მთლათ აშკარა ჩვეულებათ გადაიქცა.

ერთი სიტყვით, ადამიანთა ცხოვრება მთლიანათ თოფის ლულაზე ტრიალებს. ბოროტებას ბოლო არ უჩანს. ხალხი საშინლათ დაიქანცა და შველა ჯერ-ჯერობით არსაიდან აქვს.

ადმინისტრაცია ყოვლად უძლურია. კომისრებს დანიშნამ და მილიციის შტატის შექმნამ ხალხს ვერაფერი არგო. — ეს ადვილი გასაგებიც არის. ამისთანა პირობებში, ადგილობრივი ადმინისტრაცია, იდეური შემადგენლობასაც რომ იყოს, ვერასფერს გააწყობს. ვიმეორებ, იგი იმდენათ უძლურია, რომ მას არა თუ ბოროტ-მომქმედთა დატუსაღება და დასჯა შეუძლია, არამედ — ბოროტ-მოქმედებათა რეგისტრაციაც კი ვერ უწარმოებია.

სწავლის საქმე კიდევ უარესათ არის. მართალია, იგი ყოველთვის ცუდ პირობებში იყო, მაგრამ ეხლა მთლად მოისპო. ყოველ სოფელში სკოლა „იდგა“, — ეხლა კი შენობები სულ დანგრეულია ნახევრათ მაინც. არსად, არც ერთ სოფელში სწავლა არ სწარმოებს (ეს ასეა რევოლიუციის დაწყებიდან). მასწავლებლები კი ყოველ სოფელში არიან. ჯამაგირს ისინი თავიდანვე უკლებლივ ღებულობენ. მართალია, ასეთ პირობებში დანგრეულ-გაპარტახებულ შენობებში სწავლა-მეცადინეობა შეუძლებელია და ამიტომაც არის, რომ ხალხმა სკოლისადმი პატივი და მისწრაფება სულ დაჰკარგა და მოზარდი თაობა თავის ოქროს ხანას ტყეში-სამწყსურში ატარებს. მასწავლებლები კი ეტანებიან იარაღს, ზოგიერთი მათგანი ერევა ბოროტებაში, მეთაურობენ ქურდთა ჯგუფებს და სხვა და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხალხის თვალში მათ ვერაფერი პატივი დაიმსახურეს, არამედ — პირიქით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სამწუხაროდ თითქმის დიდ უმრავლესობას მასწავლებლებისა არა აქვს სათანადო ცოდნა, რაიც ყველაზე უფრო ხელს უშლის ჩემის აზრით სწავლა-განათლების საქმეს.

სამღვდელოებაც ასეთია.

ამნაირათ, სვანეთის ინტელიგენცია, მასწავლებლები და მღვდლები, როგორც პირველნი ისე მეორენი, უძლურნი არიან რაიმე აქტიური მუშაობისათვის. ამას ხედავს ხალხიც და ამიტომ არც იმედია აქვთ მათი.

საექიმო-სანიტარული დახმარება. ამ მხრით სვანეთი ყოველთვის უბედური და დატანჯული იყო, მაგრამ დღეს მთლათ ჯოჯოხეთი ტრიალებს. პარტახტის სახადმა და სხვა ათასგვარ გადამდებ სენებმა ბევრი ხალხი იმსხვერპლა. არ დარჩა არც ერთი სოფელი, რომ ამ შავი სენის გემო არ ეგემა და ერთი ასი ახალგაზრდა სიცოცხლე მაინც არ მიებარებინა მისთვის. ერთი სიტყვით, ავათმყოფობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. არავითარი წამალი, არავითარი რაიმე დახმარება, არავისგან არ ჰქონია, რადგანაც არ არის არც ექიმი და არც წამალი. დეე მკითხველი თვითონ მიხვდეს, თუ რა მდგომარეობა იქნება ამ მხრივ მუშა ხალხში, სადაც წელიწადში ერთხელ ძლივს იცვლიან საცვლებს.

წინეთ იყო ექიმი, მაგრამ ამ ბოლო ხანებში აღარ არის. მიზეზი, რასაკვირველია, არის ზემოხსენებული პირობები

სასამართლო, წინეთ იყო. ზაფხულობით ერთი თვით ყოველ წლივ მოდიოდა მოსამართლე, გამომძიებელი, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ, სვანეთს ასეთი არც უნახავს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ დღეს ხალხს უკვე აღარ სჯერა თუ არსებობს კანონი და ეს მოვლენა, რასაკვირველია, იწვევს თავის მხრით საშინელ ანარქიას.

მე ვერ ავწერ ჩემი უძლური კალმით იმ უბედურებას, რაც დღეს ტრიალებს სვანეთში, მაგრამ მე მაინც მინდა მოვიხადო ჩემი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე და ხმამაღლა ვსთქვა: სვანეთის უდიდესი უბედურების მთავარი მიზეზი არის იარაღი. სანამ ვინტოვკას და ტყვიას ექნება პირველობა, მანამდე ვერ ეღირსება სვანეთი მშვიდობიან ცხოვრებას, ვერ იარსებებს ვერავითარი დაწესებულება და ორგანიზაცია.

ხალხს მშვიდობიანობა სწყურია. ოღონდ კი მთავრობამ ბოროტ-მოქმედნი ალაგმოს, მშვიდობიან მცხოვრებთ სათანადო მფარველობა გაუწიოს და დიდი უმრავლესობა სიამოვნებით იარაღს დასდებს.

აუცილებელი საჭიროებაა ძლიერ მოკლე დროში სვანეთისკენ სათანადო ყურადღების მიქცევა და იარაღის აყრა. **მუშა სვანი.**

ახალქალაქის თემი (გორის მაზრა). ახალქალაქის თემი ცოტათ თუ ბევრათ დღევანდელ პირობების მიხედვით უფრო მოწყობილ თემათ ითვლება მაზრაში, მაგრამ მის მუშაობას ძლიერ აფერხებს ყაჩაღების თარეში მთის განაპირა სოფლებში, რომლებიც გადმოდიან უმთავრესად ატენის ხეობიდან და თემის გამგეობის ყურადღებაც აქეთკენაა მიპყრობილი, რომ რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოუღონ მათ თარეშს. ამბობენ, რომ ყაჩაღების რიცხვი, რომელნიც თარეშობენ: ქარელის, ატენის და ახალქალაქის თემების ტყე-მთიან ადგილებში 15 კაცს აღემატებაო. ესენი წინათ გაყოფილი ყოფილან ორ ჯგუფად: ერთ ჯგუფს მეთაურობდა ცნობილი ყაჩაღი ტიგიშვილი და მეორეს აგრეთვე ცნობილი ქარქიშვილი. ეს ორი ჯგუფი ამას წინად ცნობილ ყაჩაღ ბიბილურის მოკვლის შემდეგ შეერთებულა და ერთად განაგრძობენ მრავალ სოფლების აწიოკებას. ზამთარში ვიდრე ტყეში დამალვა ადვილი არ იყო, ეს ვაჟბატონები დიდ აქტივობას არ იჩენდენ და მხოლოდ იშვიათად აქა-იქა გამოჩნდებოდნენ ხოლმე, მაგრამ დადგა გაზაფხული, დაიწყო ტყემ გაფოთლა თუ არა, ისინიც ეხლა ხშირად ჩნდებიან, სადაც მოესურვებათ. ჯერ კიდევ მარტში სადგურ გრაკლიდან გაიტაცეს ვაჟარი უხურგუნაშვილი, რომლის შესახებაც დღესაც არავინ არაფერი იცის, აპრილში ამ წელს სოფელ ქახვრელში გაცარცვეს სამი ოჯახი და მიიმალნენ, აპრილშივე სოფელ ლულში (ოსების სოფელია) სროლაში მოჰკლეს ორი გორის მილიციონერი და ვინ იცის კიდევ რამდენი გაცარცვეს ატენის ხეობაში და მის მახლობლათ. ყველა ამის შემდეგ სამაზრო ერობის მიერ ზომები იქნა მიღებული ყაჩაღების შესაპყრობად, რისთვისაც იმ სოფლებში, რომლებსაც უფრო ხშირი სტუმრები იყვნენ ყაჩაღები, გაიგზავნა 150 კაცისაგან შემდგარი რაზმი ყაჩაღების აღმოსაჩენათ (ამ რაზმში შედიოდნენ ახალქალაქის რაიონის გვარდიელები და მილიციონერებიც 60 კაცამდე) ამ რაზმმა დაჰყო ამ სოფლებში ორი კვირა, მაგრამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო გარდა იმისა, რომ რაზმის წასვლიდან და მის დაბრუნების შემდეგაც ყაჩაღების აღვირწახსნილი თარეში დროებით შესწყდა, თითქოს შეეშინდათ და დაიფანტენო. ზემო ხსენებულ რაზმის დაბრუნების შემდეგ ისევ ადგილობრივმა მილიციამ განაგრძო ყაჩაღების დევნა და 15 მაისს უფროს მილიციონერ გიორგი ასლამაზაშვილის მიერ, რომელსაც თან ჰყავდა რამდენიმე მილიციონერი დაჭერილ იქმნა ერთი ცნობილი ყაჩაღთაგანი ოსი — გვარათ გაგლოევი და რამდენიმე ყაჩაღების თანამგრძნობი პირნი და ამის შემდეგ 22 მაისს ოსებით დასახლებულ სოფელ ფიცესში, რომელიც დაშორებულია ახალქალაქიდან სულ 10—15 ვერსით, დაეცნენ ღამე ყაჩაღები და ვერაგულათ მოჰკლეს ამავე სოფლის მცხოვრებნი: სოფლის ამორჩეული პირი — დიმიტრი კულუმბეგაშვილი და მილიციონერი მიტო თვაური. მკვლელებთაგან ჯერ ვერავინ შეიპყრეს და ვინ იცის რამდენს კიდევ გამოასალმებენ სიცოცხლეს, თუ მათ ასალაგმავათ დროზე არ იქნა საჭირო ზომები მიღებული. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მთავრობამ, თორემ თემები თავიანთი ძალებით ვერას გააწყობენ.

გარეული.

საგარეჯოს თემი (გარეთ-კახეთი). ცხოვრების წარმოუდგენელმა სიძვირემ და გაჭირვებამ ხალხი მიაჩვია შრომას. არც ერთ სავალდებულო შრომის ბეგარას, და არც არავითარ იძულებითი ძალას არ შეუძლიან დააყენოს შრომის გზაზე ადამიანი ისე, როგორი მუყაითობაც გამოიჩინა დღეს ხალხმა. თქვენ ველარ შეხვდებით მუდამ უქმათ მოხეტიალე — მოქეიფე ბაზრის ბიჭებს. ჩარჩები, რომელნიც ხალხის ყვლეფაში და მოტყუებაში ატარებდენ დროს, დღეს თოხით მხარზე მიეშურებიან სიმინდში სათოხნელათ. მღვდელი, ვაჭარი, მასწავლებელი და ყველა რანგის ინტელიგენტი დღეს ყველა ფიზიკურ შრომას მისდევს. ამიტომაც თქვენ ველარ ნახავთ დაუმუშავებელ ვენახს, დაუბარავს ბოსტანს და მოუხნავს უვარგის მიწასაც კი. თითქოს განგებამაც ხელი შეუწყოვო: ჯერ ზამთრის დიდმა თოვლებმა და შემდეგ ზომიერმა გაზაფხულმა, რომ იტყვიან, უფლის თვალი დაატრიალა ნათესავში. ხალხი სიხარულით შეჰყურებდა წლევანდელს მოსავალს და ფიქრობდა გაჭირვებიდან ამოვალო, მაგრამ, ეტყობა ჯერ არ დამდგარა ის დრო, როცა ხალხმა უნდა შვება იგრძნოს. შაბათს, 29 მაისს საშინელმა სეტყვამ გაანადგურა მინდორი, დაახრჩო მრავალი ცხვარი და მსხვილი რქიანი საქონელი. ზარალი ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული — ფიქრობენ, ადამიანის მსხვერპლიც არისო.

აქაურ ვენახებში გახშირდა ფილოქსერა. შიგა და შიგ მთელი უბანი ვენახებისა მთლათ გახმა. რაც დარჩა, იმასაც სულ მალე ეწევა ეს ბედი. ხალხი ვენახებს სწამლობს, მაგრამ უიმედოთ, რადგან ყურძენი ძალიან თხლად გამოაქვს.

სოფლელი.

ცნობები

მოქალაქე ივანე მურვანიძეს.

დიმიტრი კარსანიძის ქვრივი უმორჩილესად გთხოვსთ მოაწოდოთ მას რაიმე ცნობა თქვენთან ერთად გერმანიაში ტყვეთ ყოფილის მათი შვილის კლემენტი დიმიტრის ძე კარსანიძის შესახებ. გულდამწვარი ნათესავები თქვენგან დიდი დავალებულნი იქნებიან. ადრესი: ხონში, ს. მათხოჯი, დიმიტრი კარსანიძის ქვრივს.

განცხადებანი

განცხადება

რკინის გზის სასწავლებელთან არსებულ საქსოვ სახელოსნოში საჭიროა გამგე. პირობების გაგება შეიძლება რკ. გზის სამოსწავლო უწყებაში ელისაბედის ქ. № 200.
(1748—5—3)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა — ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ქალურ, საშარდე და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
ნ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ჰოლოხი
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს, დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ჰოლოხი
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(1741—თ.)

ექიმი მ. გოლშტეინი
თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი
პ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
ნ. მ. გაჩეჩილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—2)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 8—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჰლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები — „914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში.
(კუპ. 396.)

კბილის ექიმი
ე. თ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
და მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანასტასიას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—6)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

3 ივნისს, წყნეთის ქუჩაზე დუქანში ვიყიდე საქონელი. არ მახსოვს იქ დამრჩა თუ სად, რამოდენიმე წუთის შემდეგ

საფულე არ აღმომაჩნდა

შიგ იყო 4,000 მანეთი და ჩემთვის ძალიან საჭირო საბუთები, მნახველს უმორჩილესათ ვსთხოვ დამიბრუნოს საბუთები მაინც, ამ მისამართით: ქუთაისი, ვორონცოვის ქ. სახლი ოცხელისა ძმ. გაგულაშვილის მაღაზიაში, გაბრიელ გაგულაშვილს.
(1792—1—1)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.